148
1964

10

ეკალი

ქართველი მოსწავლეები მსოფლიო კონგრესზე

კონგრესს ესალმება
მიხეილ გვათუა.

კონგრესის მონაწილე ქართველი
მოსწავლეები, ხელმძღვანელებთან
ერთად.



პირველი სექტემბერი

მეორე დღეს სკოლაში დედა გამომყვა.

საერთოდ, პირველ სექტემბერს, პატარები სკოლაში მშობლებთან ერთად მიდიან ხოლმე. მართალია, ჩვენი კლასელები უკვე მესამე კლასიდან აღარ ვთვლიდით თავს პატარებად, მაგრამ მე მაინც არ მინდოდა მარტო მივსულიყავი სკოლაში.

პირველი წყების მეცადინეობა დასასრულს უახლოვდებოდა, როდესაც მე და დედა ეზოში შევედით.

ეზოში მეორე წყების გოგო-ბიჭები ირეოდნენ.

— რომელში გადავიდა? — ჰკითხა დედაჩემს ერთმა ხანდაზმულმა ქალმა.

— მეექვსეში! — წამოვიძახე მე ამაყად.

— ღმერთო ჩემო! რამდენი წლისა შეიყვანეთ? — გაიოცა ხანდაზმულმა ქალმა.

სხვებმაც ისე დაჟინებით დამიწყეს ჭვრეტა, რომ დამნაშავესავით გავწითლდი და არ ვიცოდი, რა მეთქვა...

— წავიდეთ! — მითხრა დედამ, — ალბათ მალე დაირეკება ზარი. მანამდე კი, თეო მასწავლებელი მინდა ვნახო...

დედამ ჩანთა, რომელიც აქამდე მას ეკავა, მე გადმომცა და წინ გამიძღვა. ფეხათრევით ავედევნე უკან.

— მგონი, თეო მასწავლებელი სხვა კლასში გადაჰყავთ დამრიგებლად, — მითხრა დედამ.

— სხვა კლასში რატომ უნდა გადაიყვანონ?!

— რა ვიცი, ასე ამბობენ.

მე გული შემეკუმშა. დაწყებითი კლასიდან სულ თეო მასწავლებელი გვასწავლიდა. მაშინ ძალიან ვბეჯითობდი. ცოტა მესამედან ავურიე, თორემ... ახლა კი, ტყუილია, თუ თეო მასწავლებელი გადავა...

ბავშვების ყიჟინმა გამომარკვია. პირველი წყება დამთავრებული იყო, ზარის წკრიალი და გოგო-ბიჭების ხმაური ერთმანეთში აირია.

— აქ იდექი! — მითხრა დედამ, — მე ახლავე ჩამოვალ. სკოლის კიბეებს აჰყვა. შუა კიბეზე წამით შეჩერდა, გასამხნევებლად ხელი დამიქნია, მერე სწრაფად გატრიალდა და წავიდა. „დედა ჩემზე მეტად განიცდის!“ — გავიფიქრე მე და ისე მოვეშვი, რომ ფეხზე დგომის თავიც არ მქონდა. ის იყო — ქვაფენილზე უნდა ჩამოვმჯდარიყავი, რომ უცებ თავზე ბიჭები წამომადგნენ: თემური, ვახტანგი, ელდარი, ვაჟა, გურამი, — ერთი სიტყვით, ყველანი იქ იყვნენ, — ამას ვისა ვხედავთო, — წამოიძახეს და დამიწყეს ხვევნა-კოცნა.

— ე, წრიპ! სად ისვენებდი? — მკითხა ერთმა.

— ვა, როგორ გაშავებულხარ! — თქვა მეორემ.

— დედაა ზევით, მასთან უნდა ავიდე, — ვთქვი და გავიქეცი. ბაბუა თედოს მთელი ორი წუთი ვეღრიჯე და ძლივს შემიშვა. სკოლის დერეფანი ისე მოცრიალებინათ, რომ ფეხი დამიცურდა და კინაღამ ცხვირპირი დავიმტვრიე. ირგვლივ საოცარი სიჩუმე იდგა.

— შენ აქ ვინ გაუშოს? — მომესმა უცებ წვრილი ხმა. მოვიხედე და ჩვენი სკოლის დამლაგებელი — დეიდა ევა დავინახე. მკაცრად შემომცქეროდა. ხელში ცოცხი ეჭირა და დერეფნის კუთხეში შეგროვებულ მტვერს პატარა ფიცარზე ყრიდა. უხმოდ მოვშორდი კარებს. შემატყო, უხასიათოდ რომ ვიყავი და მშვიდად მითხრა: — დედაშენი აი, იქ იღოს! — ცოცხი ჩვენი ყოფილი საკლასო ოთახისაკენ გაიშვირა. მერე ფიცარს წაავლო ხელი და ზედ მტვერი ახვეტა. ისიც ძალიან პატარა ქალი იყო. თითქმის ჩემხელა. ხელში სულ ცოცხი და მტვრის საწმენდი ტილო ეკავა.

დედაჩემი და თეო მასწავლებელი საკლასო ოთახში განმარტოებულიყვნენ. ჯერ გადავწყვიტე, შევალ-მეთქი, მაგრამ გადავიფიქრე, — დამაინტერესა — უჩემოდ რას ლაპარაკობდნენ.

— თქვენ ამ ამბავს მეტისმეტად აზვიადებთ, — მომესმა თეო მასწავლებლის ხმა. მე ისევ ის დაწყევლილი წითელი ხაზი გამახსენდა. ველარაფერი გავიგე და კარის ჭრილში შევიჭვრიტე. დედაჩემი მერხზე იჯდა, ორივე ხელი პირისახეზე აეფარებინა და სდუმდა. თეო მასწავლებელიც სდუმდა. ის ღია ფანჯრის წინ იდგა და ქუჩისკენ იცქირებოდა. დერეფანში გავიხედე, — შემეხათრა, — ვინმეს კართან ატუზული არ დავენახე. ვიცოდი, რომ მალულად თვალყურის დევნება მოსაწონი არაა, მაგრამ, ჩემი აზრით, არც ზურგსუკან ლაპარაკია კარგი.

— ასეა! — თქვა მცირე დუმილის შემდეგ თეო მასწავლებელმა.

— ამხანაგები დასცინიან და ბავშვი ამას გრძნობს, განიცდის...

— არა ხართ მართალი! — შეაწყვეტინა მასწავლებელმა.

— ჯერ არა უშავს რა, მაგრამ მერე?

თეო მასწავლებელი გაჩუმდა, ოთახში გაიარ-გამოიარა და ხმადაბლა ჩაილაპარაკა, — მერე... მომავალი გვიჩვენებს.

— რა ვქნა, როგორ მოვიქცე? — იკითხა დედამ ბოლოს.

— რწმენა, რწმენა ჭირდება ბავშვს! რწმენა იმისა, რომ შეიძლება იყოს ფიზიკურად... — იქნებ, უნდოდა ეთქვა: — მახინჯიო, ან პატარაო, მაგრამ არაფერი უთქვამს. შეიძლება თქვა და მე ვერ გავიგონე, არ ვიცი. — მთავარია,

გივი ჭიჭინაძე

ნახატები ზურაბ ფოლრჩხიძისა

უუფლებო

* დასასრული. იხ. „პიონერი“ № 9.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორ გამოადგები შენს ხალხს, შენს ქვეყანასო, — ასე დაასრულა.

— სწავლაზეც რომ გული აიგდო? — წუხდა ისევ დედა.

— არაფერია, ეს დროებითი ამბავია.

— თქვენ, პატივცემულო თეო, ისევ თქვენ უნდა...

— მე ყოველთვის... თქვენ ამის შიში ნუ გაქვთ...

სიხარულისაგან სუნთქვა შემეკრა. „რჩება", — გამიელვა თავში, — „ჩემი გულისთვის რჩება!"

უცებ დერეფანში ზარის წკრიალი გაისმა.

თეო მასწავლებელი

— არ შეხვიდეთ! — თქვა თემურიმ და კარის სახელურს ჩააფრინდა.

— რატომ?

— შიგ თეო მასწავლებელია!

— მერე რა მოხდა, შეგვიშვი! — ახმაურდნენ ბიჭები.

განზე გამდგარი გოგონები კარებთან შეჯგუფებული, თანაკლასელების დაწყნარებას ელოდნენ.

— რა ცუდია! რა ცუდია! — წუხდა რომელიღაც გოგონა, მეორე კი ამშვიდებდა, თან ეკითხებოდა, — მითხარი საიდან გაიგეო.

— დედამ მითხრა! დედამ მითხრა! — იმეორებდა შეწუხებული გოგონა. მე მაშინვე მივხვდი, რაზეც ლაპარაკობდნენ. მინდოდა მეთქვა, ყველაფერი ჭორია, თეო მასწავლებელი ისევ ჩვენს დამრიგებლად რჩება-მეთქი, მაგრამ, რატომღაც, მეუხერხულა.

— მართლა გადაჰყავთ თეო მასწავლებელი სხვა ჯგუფში? — იკითხა გიამ.

— ჰო, ასეა, გადაჰყავთ! — მძიმედ ამოიხვნეშა თემურიმ.

— ბიჭებო! მაგიდასთან ზის, ჩაფიქრებულია... ალბათ, ჩვენთან გამომშვიდობება უმძიმს, — წაიბურტყუნა გიამ.

— მერე, მაგის მაგივრად ვინ გვეყოლება?

— ანდრო მასწავლებელი!

— იიჰ! — ხელი ჩაიქნია ავთანდილმა.

ერთხელ, მეოთხე კლასში, თეო მასწავლებელი რომ ავად იყო, მთელი ორი კვირა ანდრო მასწავლებელი გვასწავლიდა. არა, ცუდი კაცი არ არის, მაგრამ... როგორა ვთქვა, — ცოტა არ იყოს უცნაურია, ხშირად მის საქციელზე სიცილს ვერ ვიკავებდით, ის ამაზე გვიწყრებოდა, ხშირად გარეთაც გამოვუგდივართ, — წადით და მშობელი მოიყვანეთო.

— ეჰ, არ უნდა მივეტოვებინეთ, — მითხრა გიამ.

— არც მივუტოვებივართ! — ვეღარ მოვითმინე მე.

— გოგოები რომ ამბობენ?

— ტყუილია, აღარ გადადის!

— ეს როგორ? — გაიოცა თემურიმ, — შენ საიდან იცი?

— ვიცი-მეთქი, — წამოვიძახე მე.—საიდან იციო,—აღარ მომეშვა ის. ავდექი და ვთქვი, რომ ჩემი გულისთვის რჩება-მეთქი. არა, ცოტა მეტიჩრულად კი გამომივიდა. უნდა გენახათ, რა სიცილ-კისკისი ატეხეს. ერთი ამ ლოტოს კოჭს დაგვიხედეთ, რა დიდი ვინმე გამხდარაო, — წამოაყრანტალა თემურიმ. უცებ, მთელ ტანში დამცეცხლა, თემურს წინიდან მივახტი და თავი მანამდე ვურტყი, სანამ მე თვითონ არ მოვიქანცე. ბიჭები დაგვესივნენ. თეო მასწავლებელიც იქ გაჩნდა... აირია მონასტერი.

დიდედა რომ ამბობს, სიზმარი მართალიაო, მოდი და ნუ დაიჯერებს კაცი!

ჩვენთან დარჩა

ზარი უკვე კარგა ხნის დარეკილი იყო. ყველანი გასუსულები ისხდნენ, მარტო მე ვიდექი თავჩაქინდრული. ვწუხდი: „ეს რა უბედურება დამატყდა თავს... ბიჭს ცხვირპირი დავუსივე, მეტისმეტი მომივიდა." ის ცხვირდასიებული ჩემს მეზობლად იჯდა და ბამბაგამოტენილი ცხვირით სასაცილოდ სრუტუნებდა. „დედამისი ასე მიბეჟილს რომ დაინახავს, გული გაუსკდება. თვითონ, შეიძლება, არც გაამხილოს, — ვინ გალახა, მაგრამ სხვები მიუტანენ ამბავს. ენატანია გოგოები, რამდენიც გინდა, იმდენი გვყავს". ამერია ფიქრები, აზრები. ტანში სულ ჭიანჭველებმა დამიარეს. თვალებზე ცრემლი მომადგა.

— აჰა, ცხვირსახოცი, — წამჩურჩულა თმაგაბურძგნულმა ვაჟამ, — გამომართვი, სუფთაა.

თეო მასწავლებელი ჩემთან მოვიდა და ხმადაბლა მკითხა:

— რა გაჩხუბებთ?

მე ხმა არ ამომიღია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თემურია დამნაშავე! — წამოიძახეს გოგოებმა.

— კარებში იყო გაჩხირული და შიგ არ გვიშვებდა! — აყვნენ ბიჭებიც.

— მე რა დამნაშავე ვარ, — ადუდღუნდა თემური, — მე კარებში ვიდექი... არავის არ ვუშვებდი, მოვიდა და დამეტაკა, უცებ დამეტაკა, არც კი მოველოდი, ისე დამეტაკა.

— მართალია? — მთელ კლასს ჰკითხა ახლა თეო მასწავლებელმა.

ისე ამბობდა — დამეტაკა, დამეტაკაო, თან ისე გულამოსკვნით ტიროდა, რომ ყველას შეეცოდა. ის კი არა, მეც შემეცოდა. ისე შემეცოდა, რომ ავდექი და ვთქვი, მართალია-მეთქი.

— კი მაგრამ, რატომ დაეტაკე? — გაოცდა თეო მასწავლებელი, — რატომ ვახტანგს არ დაეტაკე?

— მე ლოტოს კოჭს არ ვეძახი და იმიტომ! — თქვა ვახტანგმა. ამაზე ისევ სიცილი ატყდა. მე ვიცოდი, რომ ჩემზე სულაც არ იცინოდნენ, ვახტანგზე იცინოდნენ, მაგრამ თეო მასწავლებელმა ეს არ იცოდა.

წამომივიდა ცრემლები წვიმასავით. თეო მასწავლებელმა მხარზე ხელი დამადო და დამამშვიდა:

— გაჩერდი, ნუ ტირი!

გაჩერდიო, რომ მითხრა, — დავჯექი და უფრო ხმამაღლა ავტირდი. ის კი თავზე ხელს მისვამდა და რას მეუბნებოდა, აღარ მესმოდა.

— მაშ, ამისთვის იჩხუბეთ? —მკითხა თეო მასწავლებელმა.

— დიახ, ამისთვის!

— გავიგეთ, რომ თქვენ სხვა კლასში უნდა გადასულიყავით დამრიგებლად, — გაისმა გოგონას წვრილი ხმა. ეს მარიკა იყო, — ძალიან, ძალიან ვწუხდით და დათომ დაგვამშვიდა, — ნუ გეშინიათ, აღარ გადადისო, ჩემი გულისთვის ისევ ჩვენთან რჩებაო.

ახლა ყველანი თეო მასწავლებელს შევყურებდით თვალებში, არ ვიცოდით, რას იტყოდა.

— მართალია, ვრჩები! — თქვა მან და გაიღიმა, — აბა, დროა გაკვეთილი დავიწყოთ!..

საიდუმლოდ

მას შემდეგ რაც თემურიმ დაცინვით თქვა ჩემზე,—ვითომ ეგეც დიდი ვინმეაო, — მინდოდა მართლაც დიდი ვინმე გავმხდარიყავი, სწავლისათვის გული დამედო. სულ ხუთები თუ არა, ოთხები და ხუთები მაინც მიმეღო. თითო-ოროლა სამიანიც თუ გამოყოფდა უცებ თავს, ამისათვის არავინ დამსჯიდა. ისე კი, მინდოდა სულ ხუთები მიმეღო.

მონდომება ერთია და შეძლება — მეორე. რაც თავიდანვე არ გისწავლია, ყველაფრის უცებ დაძლევა სად გაგონილა! ლექსს უცებ ისწავლი, მაგრამ სულ სხვა საქმეა მათემატიკა. ამ საგანში მუდამ ხელით სათრევი ვიყავი. ახლა გეომეტრია და ალგებრაც რომ მოგვემატა! „შპარგალკებმა“ სულ მთლად მომინელეს, მთელი ათწუთიანი ხვეწნა-მუდარის შემდეგ, გადმომიგდებდა ვინმე სამოწყალოდ. ფუ, რა ცუდად ვიქცეოდი!..

ახლა ვზივარ და გამოსავალს ვეძებ.

უცებ, ჩვენი მეზობელი ქეთინო გამახსენდა. უნივერსიტეტში სწავლობს, მათემატიკურზე. ლამაზი არ არის, მაგრამ ჭკვიანი გოგოა. ჩვენს ზევით ცხოვრობდა. „ქეთინოს ვთხოვ“ — გამიელვა თავში. წამოვხტი და მაშინვე გარეთ გავვარდი. ბედად შინ დამხვდა. — დიდი სიამოვნებითო, — მითხრა! — ოღონდ, ყოველდღიურად უნდა იაროო. დროზეც ვთანხმდით და დავიწყე ქეთინოსთან მეცადინეობა.

სახლში ამის შესახებ კრინტი არ დამიძრავს. ქეთინოსაც ვთხოვე, ჩვენებისთვის არაფერი არ ეთქვა. მინდოდა, უცბად მომეხდინა „სასწაული“.

რუსულს და საზეპირო საგნებს მე თვითონ ჩავუჯექი. ქართულში არც მანამდე მქონია ცუდი ნიშნები, თემებს ყოველთვის დამოუკიდებლად ვწერდი. ოღონდ ეს იყო, ლექსების დაზეპირებას ვერ ვიტანდი. ბიოგრაფიებიც გულს მიწუხებდა... ეეჰ, ახლა კი მივხვდი, — თურმე ყველაფერი უნდა იცოდეს კაცმა.

— ქეთინო, — ვკითხე ერთ დღეს, — კიდევ დიდხანს ვიმეცადინებთ?

— რაო, დაიღალე?

— არა, მაგრამ...

— დიდხანს თუ არ ვიმეცადინეთ, არაფერი გამოვა! — მითხრა მან ღიმილით. იმ წუთში ისეთი კარგი ჩანდა! ის ვერცხლისფერი სათვალეც ძალიან უხდებოდა. „მეც ვიყიდი სათვალეს“ — გავიფიქრე მე. ქეთინომ წიგნი დახურა და გამათავისუფლა, — წადი, დაისვენე და ხვალ ამოდიო.

„ყოჩაღ, ბიჭო!“

ვერც კი გავიგე, როგორ გავიდა სექტემბერი. დადგა ოქტომბერი. მომდიოდა და მომდიოდა ბარათები სოფლიდან. ბიჭები მეპატიჟებოდნენ, რთველში ჩამოდიო, თან იმასაც მწერდნენ: ამა და ამ რიცხვში ქვემოურებთან ფეხბურთს ვთამაშობთ და იქნებ სწორედ იმ დღეს გაგვახაროო. ვიცოდი, რომ გულით მეპატიჟებოდნენ, მაგრამ მეოთხედი უკვე კართან იყო და რა უნდა მექნა! მივწერე, — ახლა ყელამდე საქმეებში ვარ ჩაფლული, ზამთრის არდადეგებზე გეწვევით-მეთქი. ბოლო დროს ისეთ დათმობებზე მივდიოდი, რომ მე თვითონ მიკვირდა. ეზოში ერთხელაც არ ჩავსულვარ. ჩასვლა კი არა, უბრალოდ, აივნიდან არ გადამიხედავს. ჩვენუბნელებს თურმე ძალიან უკვირდათ. მერე მითხრეს, — გვეგონა, დიდედაშენმა მწნილად ჩაგდოო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოქტომბრის შუა რიცხვებში, საკონტროლო წერის დროს, ისე მოულოდნელად მივიღე ამოცანის პასუხი, რომ ვიფიქრე: ნამდვილად მასწავლებელს შეეშალა და სხვა ციფრი დაგვისახელა-მეთქი.

— მასწავლებელო, — ძლივს შევბედე,—მართლა 485-ია?

— 485-ია! — მომიგო მასწავლებელმა, — შენ რა, ამოხსენი?

— ამოვხსენი, — ვთქვი ხმადაბლა.

— როგორ, უკვე?! — გაოცდა მასწავლებელი.

— დიახ, უკვე!

— დამოუკიდებლად?

— დამოუკიდებლად! — მინდოდა, რაც შეიძლება ამაყად მეთქვა ეს სიტყვა, მაგრამ მაინც გაუბედავად გამომივიდა; ირგვლივ ერთი ჩურჩული ატყდა. ერთმანეთს ეკითხებოდნენ: შენ რა მიიღე, შენ რა მიიღეო.

— აბა, კიდევ ვინ ამოხსნა? — იკითხა მასწავლებელმა, ჩემი რვეული დაკვირვებით გადაათვალიერა, დახურა და მაგიდაზე დადო.

მარტო გია იწევდა ხელს.

— ყოჩაღ, ბიჭო! — მითხრა მასწავლებელმა და გამიღიმა.

საზეიმო მზადება

მალე ოქტომბრის თვეც მიილია და სკოლაში საშვიდნოემბრო მზადება დავიწყეთ. მე მანამდე ასეთ საპატიო საქმეებში მონაწილეობას არ ვღებულობდი. სხვა დროსაც ახლოვდებოდა ხოლმე შვიდი ნოემბერი, მაგრამ მაშინ ჩირადაც არვინ მაგდებდა. ერთს არ მკითხავდნენ, — დავით, ეს ლურსმანი სად მივაჭედოთო. თვითონ იჭაჭებოდნენ და მოჰქონდათ სახლიდან ყვავილიანი ქოთნები, სურათები, ალმები. მერე, ზეიმი რომ დამთავრდებოდა, მასწავლებელს ჩემზე შეაგულიანებდნენ: არაფერში არ გვეხმარება და ეს ქოთნები მაინც წაგვაღებინოს სახლშიო. ახლა კი, ერთი კვირით ადრე გამაფრთხილეს, — პიონერთა აქტივი საშვიდნოემბრო სამზადისისთვის შეკრებას იწვევს და შენც უნდა მოხვიდე, „დიდ საქმეზე" გვჭირდებიო. დაპრაწეს ბიჭებმა თვალები, თემური სულ გადაირია...

პიონერთა ოთახში რომ მივედი, ოთარი ხელმძღვანელი იქ არ დამხვდა. კარი ფრთხილად შევაღე და კედელთან დავდექი.

— მოდი აქ! — ხელი დამიქნია გიამ. მივედი და გვერდით მივუჯექი. რაზმეულის ალბომი წინ გაეშალა და საზეიმო გვერდს ამზადებდა.

— ო, რომ იცოდე, რას ვაკეთებთ? — მითხრა ჩუმად.

— რას აკეთებთ?

— ოთარი ხელმძღვანელი გეტყვის, მანამდე კი სუუ... კრინტი! საიდუმლოა!

მალე ხელმძღვანელი შემოვიდა და მაშინვე საქმეზე გადავედით.

ხელმძღვანელი გვესაუბრა, როგორ უნდა შევხვედროდით ამ დიდ თარიღს, როგორ უნდა გაგვეფორმებინა სკოლის ეზო, როგორ უნდა გავსულიყავით ზეიმზე... და ბოლოს, უცებ თითქოს რაღაც უფრო მნიშვნელოვანი გაახსენდაო, შეჩერდა და იკითხა:

— სად არიან კოსმონავტები?

— აი, ერთი უკვე აქ არის! — თქვა გიამ და თვალით ჩემზე ანიშნა. ხელმძღვანელმა შემომხედა და გაიცინა, ერთმა უცხო გოგონამაც შემომხედა და გამიცინა. მე კი მოვიბუზე მცივანა წიწილასავით. ის იყო, კარებიც გაიღო და ოთახში ვაჟა და რამდენიმე უმცროსკლასელი შემოვიდნენ: ოთხი ბიჭი იყო და ერთი გოგო.

— ჩვენი მომავალი კოსმონავტები! — გაგვაცნო ვაჟამ ღიმილით. ბავშვები სათითაოდ შეატრიალ-შემოატრიალა. ისინიც აზრზე არ იყვნენ და ჩემსავით მობუზული იცქირებოდნენ აქეთ-იქით.

— მეექვსე კოსმონავტო, ამოუდექი გვერდში ამხანაგებს! — გაისმა ოთარი ხელმძღვანელის ხმა. მიეხვდი, რომ მე მეხებოდა და მეც წამსვე მათთან გავჩნდი.

—ეს ვალია იქნება, ტერეშკოვა!— თქვა ერთ გოგონაზე, — ეს კი, — ანიშნა ჩემზე, — იური გაგარინი! — ეს ტიტოვი, ეს პოპოვიჩი, ეს ანდრიანოვი, ეს კი — ბიკოვსკი!



ყველას ჩამოგვიარა და მკერდზე ისე დაგვკრა ხელი, თითქოს მართლა კოსმონავტები ვყოფილიყავით. ექვსივეს სიხარულით გვიბრწყინავდა თვალები.

* * *

იმ კვირას ერთმანეთს მიჰყვა სასიხარულო ამბები. ერთ დღეს ნიშნების ფურცელი მივაფრიალე; ხუთებიც მყავდა და ოთხებიც, მე კი ვყვიროდი: — ნახეთ ჩემი ხუთიანები-მეთქი. ქეთინოს ყვავილები ვუყიდე და, ნიშნები რომ ვუჩვენე, ის ყვავილებიც მივართვი. მერე კიბეებზე ბრაგა-ბრუგით ავრბოდი და ჩამოვრბოდი. მთელი ეზო შევყარე, ყველა მომდურებულ ბიჭს შევურიგდი, გოგისაც შევურიგდი და ამან უფრო გამახარა. ახლა სახლში ატყდა ერთი ხვევნა-კოცნა. დედაჩემს სიხარულით ტირილი აუვარდა. ძლივს დავაწყნარეთ.

მამაჩემს სამსახურში დაურეკეს. მოგრიალდა მამაჩემი გახარებული. კარში ძლივს შემოეტია. ორთვლიანი ველოსიპედიც თან მოიტანა, — იმ სიმაღლე ჩანდა,—ვაი, თუ ფეხები ვერ დავუწიო-მეთქი, — გამკენწლა გულში.

მეორე საღამოს ძია ლადომ ფუნიკულორზე წამიყვანა. მთელი ბაღი საზეიმოდ იყო მორთული. დიდხანს დავსეირნობდით მწვანე ხეივნებში, ვქრიალებდით საქანელებზე, ვისროდით ტირში. სამჯერ ვისროლე და მეოთხედ ძლივს მოვარტყი მიზანში, მეხუთედ აღარ მისვრია, მკლავი მტკივა-მეთქი, მოვიმიზეზე. შინ გვიან დავბრუნდით. მეორე დღეს ადრე უნდა ავმდგარიყავი. დავწექი და დაღლილ-დაქანცულს უცებ ჩამეძინა.

ეზიანი დილა

დილით ყველაზე ადრე მე წამოვხტი.

მეგონა, ღრუბლიანი ამინდი ზეიმს ჩაგვშლიდა; ჯერ კიდევ კარგად არ იყო გათენებული და, დიდედოს თქმით, ამინდს ცუდი პირი უჩანდა. მაგრმ ამჯერად აღარ გამართლდა დიდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დოს ნათქვამი; სანამ ტანთ ჩავიცვი და ხელ-პირი დავიბანე, მზემ სიფრიფანა ღრუბლებიდან გამოანათა.

წავისაუზმე. დედას ცოტაოდენი ფული გამოვართვი და სკოლისაკენ მოვკურცხლე. თეთრი ხალათი მეცვა, აბრეშუმის წითელი ყელსახვევი მეკეთა.

თვალის ერთი დახამხამება და, სკოლაში გავჩნდი.

იქ, პიონერთა ოთახში, სხვა პიონერებიც მოსულიყვნენ. კოსმონავტებს შორის ყველაზე ადრე მე გამოვცხადდი. მომაზომეს სახელდახელოდ შეკერილი ტანსაცმელი. რაც არ უნდა

— იური გაგარინ! — შემომძახოდნენ ბიჭები ყველანი.

გოგოებიც შემომყვიროდნენ, მაგრამ ისინი იური გაგარინს კი არა, უბრალოდ — დათო, დათოო, მეძახდნენ. თემურიც იქ იყო, ელდარიც, ვახტანგიც, ვაჟაც. ყველანი სხვანაირები მეჩვენენ იმ დღეს. არავის არ მოსვლია აზრად, ერთხელ მაინც დაეძახათ: წრიპა!.. ველოდი კი...

უცებ,—ტუ! ტუ! ტუ! — ჩაბერეს საყვირში. ეს უკვე ზეიმზე გასვლის ნიშანი იყო. დაჭკრეს დოლს.. და ჩვენი მანქანაც ნელ-ნელა დაიძრა. მივდიოდით და მივიმღეროდით: „მოვდივართ და მოვიმღერით პიონერები, ვარდ-ყვავილებით გზას გვინათებს მინდორ-ველები!“



იყოს, პირველი კოსმონავტი მე ვიყავი და მეტი ყურადღებით მეპყრობოდნენ.

დერეფანში რომ გამოვედით, ყველა ჩვენ აგვედევნა. მახარობლები ეზოში გაცვივდნენ, —არიქა, კოსმონავტები მოჰყავთო. მთელი სკოლა ელოდა ჩვენს გამოჩენას. უნდა გენახათ, რა დღეში ვიყავი. მიხტოდა და მიხტოდა გული. ფეხებიც აღარ მემორჩილებოდა. ჩამოვიარეთ კიბეები და, უცებ თეო მასწავლებელს მოვკარი თვალი, — ოთარი ხელმძღვანელთან მივიდა და ჰკითხა, — ჩემი კოსმონავტი როგორ არისო. ოთარი ხელმძღვანელმა ცერით ანიშნა, კარგადო.

ჩვენს წასაყვანად გამზადებული მანქანა ეზოში იდგა. ზედ დიდი კოსმოსური ხომალდი დაედგათ. სულ უფროსკლასელების ნახელავი იყო. მოერთოთ ჭრელი ყვავილებითა და ფრიალა ალმებით. ოთარი ხელმძღვანელმა თვითონ აგვსვა მანქანაზე. ჩვენ ხალვათად ვერ ვმოძრაობდით. ისეთი შემოტმასნულ-შემოჭერილი ტანსაცმელი გვეცვა, რომ სუნთქვა გვიჭირდა. მე და ვალია წინ დაგვაყენეს, — ხომალდის წითელ ვარსკვლავთან.

უუშხუნები

საღამოს, მზე რომ ჩავიდა და ოდნავ ჩამობინდდა, სახლიდან გამოვედი, გოგის ავძახე და ჩემი ორთვლიანი ველოსიპედი ეზოში გამოვიტანე. გოგიმაც ჩამოიტანა თავისი.

— საით წავიდეთ? — მკითხა ისე, როგორც ჭკვიან კაცს ეკითხებიან ხოლმე.

— მამადავითისკენ! — ვუთხარი მე დინჯად.

— ბიჭო, აღმართი რო არი?

— არა უშავს, ავალთ! — დავამშვიდე მე.

ასფალტზე აქა-იქ ეყარა ჯერ კიდევ დაუმჭკნარი ყვავილები და მერცხლისკუდა ფერადი ქაღალდები. ქუჩებში იმდენი სინათლე იყო, — შუადღე ეგონებოდა კაცს. ერთ წამში გავედით მოედანზე, ჩავუქროლეთ ლენინის ძეგლს. მთელი მოედანი ვარდებში იყო ჩაფლული. ჰაერშიც ყვავილების საამო სუნი ტრიალებდა.

— გოგი, იცი, — ლენინიც პატარა ტანისა ყოფილა, — ვუთხარი მე გოგის. გოგიმ უხმოდ დამიქნია თავი, — მართა-

ლიაო. მე ახლა მჯერა: გოგის იმ წუთში გაახსენდებოდა, რომ წრიპა სწორედ მან შემარქვა. ამიტომ იყო, ალბათ, რომ სახე ოდნავ შეეფაკლა.

ჭავჭავაძის ასახვევთან, პატარა ბიჭები ბურთს მისდევდნენ. თეთრი მაისურები ეცვათ. თერთმეტმა ნომერმა ძლიერად დაარტყა.

— მიშა მესხიც პატარა ტანისაა! — ვთქვი მე.

— სამაგიეროდ, კალათბურთელი ლეჟავაა დიდი ტანის! — თქვა გოგიმ.

— გაგარინი? — ვკითხე მე.

— ვახტანგ გორგასალი? — თქვა მან.

— პავკა კორჩაგინი? — წამოვიყვირე მე.

— ჩაპაევი? — არ ცხრებოდა გოგი.

— ოლეგ კოშევოი? კარუზო? სუვოროვი? მატროსოვი? — დავაყარე და დავაყარე ტყვიამფრქვევივით.

— ფილიპოვი? — იკითხა გოგიმ.

— რომელი ფილიპოვი?

— კინომსახიობი როა, კომიკი.

— მაშინ: ჩარლი ჩაპლინი?

— კარგი... ალექსანდრე ნეველი? დავით აღმაშენებელი? — მოიშველია ისტორიული პიროვნებები. „როგორც ჩანს, მაგარია ისტორიაში", — გავიფიქრე მე.

აღმართი ავათავეთ და უცებ — ბუხ! — იქუხა ცამ. იქუხა და განათდა, განათდა და მერე როგორ! — უამრავი შუშხუნა ერთად აიჭრა ჰაერში და ათასფრად აციმციმდა. მერე შადრევანივით გადმოიშალა და წამოვიდა ბზუილით ძირს. მე ველოსიპედიდან გადმოვხტი და ისე შევცქეროდი განათებულ ცას. გოგის გადმოხტომა არ დაჭირვებია, ისე დაუშვა ფეხები მიწაზე და ცას მიაჩერდა.

— აუჰ, შენი გულისა! — ვიძახდით ორივენი, — ნამდვილი შუშხუნები არ არი!

— არა, ბიჭო, საპნის ბუშტულებია! — ვთქვი მე და გამეცინა. გოგიც იცინოდა.

ირგვლივ ყველაფერს ზრიალ-ტრიალი გაჰქონდა, — თითქოს დიდ საქანელაში ვისხედით.

შუშხუნები კი ცვივოდა და ცვივოდა ზევიდან.

ირგვლივ ყველაფერი საამო შუქში ლივლივებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯილაგი ადგილი ეჯილესე ეიდვილ

კონგრესი უსმენს მიხეილ გვათუას

დაფასდა, ჭეშმარიტად დაფასდა ბ. ძნელაძის სახელობის თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ნორჩ მხარეთმცოდნეთა კლუბის მჩქეფარე საქმიანობა: 8 აგვისტოს მოსკოვში გაიხსნა ანთროპოლოგთა და ეთნოგრაფთა VII საერთაშორისო კონგრესი. კონგრესზე წარგზავნილ გამოჩენილ ქართველ ანთროპოლოგთა და ეთნოგრაფთა დელეგაციაში 26 ნორჩი ქართველი მხარეთმცოდნე იყო. კონგრესის დახურვის დღეს — 9 აგვისტოს — მსოფლიოს 60 ქვეყნის სახელგანთქმულ მეცნიერებს მიესალმა თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ეთნოგრაფიული სექციის თავმჯდომარე, 51-ე საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლე მიხეილ გვათუა. კონგრესის მონაწილე სახელმოხვეჭილი მეცნიერები ყურადღებით უსმენდნენ ქართველ ბავშვს, რომელიც „საქმეში ჩახედული კაცივით" ლაპარაკობდა ნორჩ ქართველ მხარეთმცოდნეთა მიღწევებზე...

აღსანიშნავია, რომ კონგრესზე დასწრების პატივი მხოლოდ ქართველ მოსწავლეებს ხვდათ წილად!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეძებენ, პოულობენ, ხარობენ...

„...ხელისგულივით გადაგვეშალა თვალწინ კოლხეთის დაბლობი. მზიანი ნისლი ნებიერად ირწევა, ზიმზიმებს და თვალსა და გულს ახარებს ზღვასავით გაწოლილი ლივლივა სივრცე... ჩვენ ახლა ენგურჰესის მშენებლობის დასათვალიერებლად ვიჩქარით. აი, დაბლობი ლიანებითა და ბუჩქნარებით დაფარულმა გორაკ-ბორცვებმა შეცვალა. გამოჩნდა სვანეთის ამაყი მწვერვალები. ვინ იცის, რამდენ საინტერესო რამეს ვნახავთ დღეს...“ — ეს სტრიქონები თავის დღიურში შარშან ჩაწერა ჟეოგრაფიული სექციის თავმჯდომარემ, თბილისის 88-ე საშუალო სკოლის მოსწავლემ ნიკოლოზ ბერუჩაშვილმა.

— ვინ იცის, რამდენ საინტერესო რამეს ვნახავთ დღეს... ხვალ... ზეგ... — აი, რაზე ოცნებობენ ბიჭუნები და გოგონები, აი, რა არის ნორჩი მხარეთმცოდნეების მთავარი ფიქრი და საზრუნავი, როცა ისინი ეწვევიან ხოლმე სამეგრელოსა და ერწოთიანეთს, კახეთსა და გურიას, სვანეთსა და იმერეთს, ათვალიერებენ ჩვენს ქალაქებსა და ახალმშენებლობებს, — სწავლობენ ჩვენი ხალხის წარსულ და თანამედროვე ყოფით კულტურას.

რამდენ რამეს ნახავენ?... ბევრ, ძალიან ბევრ რამეს, — ჩვენი მიწისქვეშეთი სავსეა ჯერ კიდევ აღმოუჩენელი უამრავი საიდუმლოებებით, ჩვენში ჯერ კიდევ ბევრია შესუსწავლელი ციხე-სიმაგრეები, ჩაუწერელი ხალხური თქმულებები და ლეგენდები... ხოლო, — რას ნახავენ? — ეს რომ წინასწარ იცოდნენ, მაშინ აღარ იქნება ყოველ ფეხის ნაბიჯზე ახალ საოცრებათა პოვნის ამხელა მოლოდინი, აღარ იქნება ამხელა გატაცება, ენთუზიაზმი, — აღარ იქნება ის „ცოუნება“, რომლის მეოხებითაც ნორჩი მხარეთმცოდნეები აიკიდებენ ხოლმე ზაფხულში გუდანაბადს და მოედებიან მთასა და ბარს...

...დილაა. დანისლულ მთიდან მზემ თავი ამოჰყო და გაღვიძებულ მიწაზე გაიშალა. ჭიკჭიკებენ ოქროსფერი ჩიტები. ჩხრიალებენ ანკარა ნაკადულები. თითქოს იწვნენ და წამოდგნენო — ნისლის საბურველი გაიხადეს და გამოჩნდნენ მაღალი მთები.

მანგლისთან სოფელ ორბედის ტყეში, ბილიკზე მიაბიჯებენ ნორჩი ეთნოგრაფები.

— აი, შეხედეთ — რაღაც უცნაური ნამსხვრევებია, — წამოიძახა უცებ ერთმა სახეცქრიალა გოგონამ და ხელში ფრთხილად აიღო ბრჭყვიალა ნამსხვრევი.

— მინაა.

— რა საოცარი ფერი აქვს.

— იქნებ...

— აი, რაღაც ჭურჭელი.

— აი, სამაჯური...

— აი, ბეჭედი...

ყველაფერი ეს ბავშვებმა მეორე დღესვე მიიტანეს ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიურ განყოფილებაში.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტმა იმ ადგილებში ექსპედიცია გაგზავნა. ექსპედიციას თან გაჰყვნენ პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ნორჩი მხარეთმცოდნეები. გათხრებში ბავშვებმაც მიიღეს მონაწილეობა. დაასკვნეს, რომ ამ ადგილას ოდესღაც მინის ძძლავრი საწარმო ყოფილა. აქვე ნაპოვნი მონეტა VIII საუკუნით დაათარიღეს, თურმე, აქ მზადდებოდა სარკმლის ფერადი მინები, სამოზაიკო კენჭები, იშვიათი ოსტატობით ნაკეთები სხვადასხვა ფერის მინის ჭურჭელი, სამაჯურები, ბეჭდები...

აი, თურმე რატომ ეძახიან მანგლისელები ამ ადგილს „ბეჭდიანს“.

მინის პაწაწინა, ბრჭყვიალა ნამსხვრევისთვის იმ სახეცქრიალა გოგონას რომ არ მოეკრა თვალი, ამ ადგილებში მინის საწარმოს არსებობა იქნება დღესაც საიდუმლოებით უოფილიყო მოცული!

საკუთარი ხელით

„ადამიანისათვის ყველაზე დიდი უბედურება უსაქმურობაა. ამიტომ, აუცილებელი და საჭიროა ადამიანი პატარაობიდანვე მიეჩვიოს შრომას“, — ამბობდა ლევ ტოლსტოი.

პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეს ნორჩ მხარეთმცოდნეთა კლუბში გაერთიანებულია თბილისელი და რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქებისა და რაიონებას 800-ზე მეტი მოსწავლე. მათი უმრავლესობა ცდილობს, არა მარტო შეისწავლოს, არამედ საკუთარი ხელითაც დაამზადოს ოდესღაც მხარეული თუ ამჟამად სახმარი საყოფაცხოვრებო ნივთები, სხვადასხვა ნაკეთობანი, ჭურჭლეული, ტანსაცმელი...

ბათუმელმა მოსწავლემ მიხეილ ნიკოგოსოვმა დაამზადა ლაზური ტიპის საცხოვრებელი სახლის მაკეტი.

პიონერმა ლუიზა ფიფიამ საშველი არ მისცა სოფელ ჯვარის უხუცეს მკვიდრს მარინე ჭითავას, ვიდრე მისგან ნაბდის დამზადება არ ისწავლა.

მესტიელი მოსწავლე ქევხერი ნიგურიანი ისეთ სვანურ ქუდებს ამზადებს — კაცი უკეთესს რას დაიხურავს! მისი უმცროსი ძმა ბექნუ მხოლოდ ქევხერის მიერ დამზადებულ ქუდს იხურავს, სხვას არ კადრულობს!

გომბორის საშუალო სკოლის ნორჩმა ეთნოგრაფებმა გულდასმით შეისწავლეს ქართული ხალიჩების ქსოვის წესები და სკოლაში ხალიჩების საქსოვი პაწია სახელოსნოც კი მოაწყვეს. სიხარულით აღარ იცოდნენ რა ექნათ, როცა მოსწავლეებმა მერი ხუმარაშვილმა, ციალა ქისტაურმა და ნათელა ჭინჭარაულმა აივანზე გაკიდეს მათ მიერ მოქსოვილი პირველი ხალიჩა, არანაკლებ გახარებულნი იყვნენ გოგონების მეგობარი ბიჭუნებიც, რომლებმაც საკუთარი ხელით გააკეთეს ხალიჩის საქსოვი დაზგა.

თვალს ვერ მოაშორებთ თელავის IV საშუალო სკოლის მოსწავლის ნინო სეხნიაძის მიერ დამზადებულ ფერადოვან ხურჯინს.

შეხედვაც კი ერთ რამედ ღირს, თორემ გემოს თუ გაუსინჯავთ, მაშინ მართლაც დარწმუნდებით, როგორ დაუფლებია თელაველი გოგონა თინა ნაცვლიშვილი კახური ჩურჩხელის დამზადების პროცესს.

ჩინებულად მუშაობენ ჩხარის საშუალო სკოლის მხარეთმცოდნეები, საჩხერის რაიონის სოფ. ქორეთის საშუალო სკოლის „განსწავლული“ არქეოლოგები.

და განა შეიძლება, რომ ნორჩი მხარეთმცოდნეები ცალ-ცალკე, სხვადასხვა ქალაქებსა და სოფლებში ეწეოდნენ ესოდენ საინტერესო საქმიანობას და ერთმანეთს არ ხვდებოდნენ, არ უზიარებდნენ გამოცდილებას, არ იძენდნენ ახალ-ახალ მეგობრებს? რა თქმა უნდა —არ შეიძლება.

თბილისში წელიწადში ერთხელ

„—ჩვენ ვსწავლობთ ყველაფერს ახალს, — თანამედროვესა და პერსპექტულს, მაგრამ არ ვივიწყებთ ძველსაც, — მამაპაპურსა და ტრადიციულს“ — აი, დევიზი, რომლითაც თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში ყოველწლიურად ეწყობა ნორჩ მხარეთმცოდნეთა შემოქმედებითი მუშაობის სადემონსტრაციო რესპუბლიკური შეკრება-გამოფენები.

შარშან, დეკემბერში, მოწყობილ შეკრებაზე საინტერესო ნამუშევრებით წარსდგნენ ნორჩი ეთნოგრაფები.

— ეს ყველაფერი, რაც ზედ მაცვია, ცხორის ბეწვისა და ტყავისაგან ჩვენი გოგო-ბიჭების მიერ არის დამზადებული, — ამაყად მოუთხრობდა შეკრების მონაწილეებს ბარისახოს სკოლა-ინტერნატის მოსწავლე გაგა წიკლაური. მას თავზე ფაფახი ეხურა, ტანზე ნაბადი მოესხა, ზურგზე გუდა მოეგდო, ხელში კომბალი ეჭირა. — ნაბადი მე თვითონ გამოვცადე სამწყემსურში, წვეთმაც კი ვერ გაატანაო, — ღიმილით ამბობდა გაგა. მას ხანჯალიც ეკეთა, რომელსაც ტარი პლასტმასისა ჰქონდა: — აი, როგორ შეეწყვნენ ერთმანეთს „ძველი“ და „ახალი“, — მოსწრებულად თქვა გაგამ, ხანჯალი დააძრო და შეკრებილთ დაანახვა.

„მოდის სურნელოვანი ქართული ჩაი. გაამოთ!“ — ასეთი წარწერით წარმოადგინეს შეკრებაზე ქ. მახარაძის პიონერთა სახლის მხარეთმცოდნეებმა მათი საქმიანობის ამსახველი ფოტოსტენდი.

აგერ, თელაველი სოსო ქევხიშვილის მიერ დამზადებული თიხის ჭურჭელი. აგერ კარაქის სადღვები ხელსაწყო, აგერ, მზისფერი ქსოვილები, ბავშვების ნახელავი ყველი, ჩურჩხელები, ათასნაირი ხილი... დღი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ურები, მაკეტები, ძველი საოჯახო ნივთები... ვინ მოთვლის, რამდენი რამ იყო შეკრებაზე წარმოდგენილი.

ამ გამოფენაზე უნდა გამოჩენილიყო, როგორ მოემზადნენ ნორჩი ქართველი მხარეთმცოდნეები ანთროპოლოგთა და ეთნოგრაფთა მოსკოვის VII კონგრესისათვის.

იმსჯელეს, ითათბირეს, ყველაფერი აწონ-დაწონეს ხელმძღვანელებმაც, თვით ნორჩებმაც და დაასკვნეს: „არა, არ შევრცხვებით მსოფლიოს გამოჩენილ მეცნიერთა წინაშე, მივდივართ!“.

გზა სიხარულისა

აი, ისინიც — კონგრესის ნორჩი მონაწილენი: თბილისელი მოსწავლე მიხეილ გვათუა, — თბილისის პიონერთა სასახლის ეთნოგრაფიული სექციის თავმჯდომარე, გომბორის საშუალო სკოლის მოსწავლე ნათელა ჭინჭარაული, — მხარეთმოცდნეთა კლუბის თავმჯდომარე, თბილისელი — ნინო ჯავახიშვილი, წალენჯიხელი პიონერი ლუიზა ფიფია, ბარისახოელი — მიხეილ არაბული, გორელი პიონერი ციალა ჭყოიძე, თბილისელები ლევან ხელაია და ალექსანდრე ნაჭყებია და სხვები— სულ 26 მოსწავლე. ბავშვებს ხელმძღვანელობდა საქართველოში მოსწავლეთა შორის სამხარეთმცოდნეო მუშაობის ერთ-ერთი ინიციატორი და ორგანიზატორი, რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი ირინე მიქელაძე.

სასიხარულო გულისფანცქალით განვლეს გზა მოსკოვამდე.

აი, მოსკოვის უნივერსიტეტი, აქ დაიწყო მუშაობა კონგრესმა.

ბავშვები ყურადღებით უსმენდნენ გამოჩენილ მეცნიერთა მოხსენებებს, დიდი ინტერესით ათვალიერებდნენ უზარმაზარ დარბაზში მოწყობილ სამეცნიერო გამოფენას. ნორჩი ეთნოგრაფები აღტაცებული იყვნენ სახელმოხვეჭილ მეცნიერებთან შეხვედრებით, მაგრამ მათ თავის მხრივაც გაახარეს და აღაფრთოვანეს კონგრესის მონაწილენი. ცნობილ ეთნოგრაფ-მოგზაურს ტურ ჰეიერდალს ძალიან მოეწონა ნათელა ჭინჭარაულის მიერ შეკერილი და ამოქარგული კაბა. ტურ ჰეიერდალმა შთაბეჭდილებათა წიგნში ქართველ ბავშვებს ჩაუწერა:

Best wishes to
all the young
girls and boys
of Georgia
from
Thor Heyerdahl
8-8-1964

ყველაფერს საუკეთესოს ვუსურვებ ყველა ქართველ გოგონასა და ბიჭუნას.

— ყოჩაღ, ქართველო ბავშვებო! ყოჩაღ, ნორჩო ეთნოგრაფებო! — ამბობდნენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ცნობილი მეცნიერები.

* * *

ბ. ძნელაძის სახელობის თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის კლუბს ჰყავს უფროს მეგობართა საბჭო, რომლის საპატიო წევრებია ჩვენი ქვეყნის გამოჩენილი მეცნიერები — მ. ნ. ტიხომიროვი, ს. პ. ტოლსტოვი, ბ. ა. რიბაკოვი, მ. მ. გერასიმოვი, ა. ნ. ჯავახიშვილი, გ. ნ. ჩუბინაშვილი, ნ. ა. ბერძენიშვილი, გ. ს. ჩიტაია (ნორჩ ეთნოგრაფთა სექციის საპატიო თავმჯდომარე). მათი ხელმძღვანელობით, გამოცდილი პედაგოგებისა და სპეციალისტების უშუალო მზრუნველობითა და ყურადღებით, ნორჩი ქართველი მხარეთმცოდნეები ხარბად ეწაფებიან ცოდნას. მათი ყოველი დღე ბედნიერ მომავალზე ოცნებითაა სავსე...

მოვა დრო და, ბევრი მათგანი მსგავს კონგრესზე გაემგზავრება, როგორც ახელმოხვეჭილი მეცნიერი — კონგრესის დელეგატი.

გზა, რომელიც ამ დრომდე მიდის, აღსავსე იქნება ბედნიერი სწავლითა და დაძაბული შემოქმედებითი შრომით.

ამ გზით დაიპყრეს ცოდნის მწვერვალები პიონერთა სასახლის მიერ აღზრდილმა, ახლა უკვე საკმაოდ ცნობილმა ახალგაზრდა მეცნიერებმა: ისტორიკოსმა ლაშა ჯანაშიამ, ენათმეცნიერმა გურამ თოფურიამ, არქეოლოგმა დევი ბერძენიშვილმა, ხელოვნებათმცოდნემ ლელა პაპუაშვილმა, არქეოლოგმა მარინე კეცხოველმა.

ამ გზაზე სიარული მართლაც რომ საამაყოა — იგი საზოგადოებისათვის საარგებლო შრომისა და შემოქმედების ნათელი გზაა.

გივი ძნელაძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

ორი ამბავი

გოლერძი ჭეიშვილი

მოთხრობა*

ნახატები დიმიტრი ხახუტაშვილისა

ფანჯრიდან დავინახე: ჩვენი სახლის წინ ტაქსი გაჩერდა. უკანა კარი გაიღო და მამუკამ ხელი დამიქნია.

— გამარჯობა, მამა! — ამომძახა და სადარბაზოში შემოირბინა.

მამუკა ჩამოვიდა!

უცბად განათდა კედლები, ჭერი, ფანჯრები, განათდა მთელი სახლი. თაროებზე — თითქოს აჩურჩულდნენ წიგნები, კარადაში - -თითქოს ბროლის ჭიქებმა გაიწკრიალეს...

მამუკა ჩამოვიდა!

მე და ჩემი მეუღლე თითქმის მთელი ზაფხული მარტო ვიყავით სახლში და შვილების ტანსაცმელსა და წერილებს ვეალერსებოდით. ახლა კი — ჩამოვიდა მამუკა, ჩამოვიდა და განათდა სახლი.

ფაცხაფუცხით ვეცი კარს და კიბეზე დავეშვი. მამუკა ამორბის, მე ქვევით ჩავრბივარ, და ვხედავ ჩემი ბიჭის მზით გარუჯულ, მოლიმარ სახეს, პატარა ქოჩორს, ნუშის თვალების ბრწყინვას...

მესამე სართულის კიბეზე შევხვდით ერთმანეთს.

— როგორა ხარ, მამა? დედა როგორ არის? გოჩა ჩამოვიდა?

— კარგად ვართ; გოჩა ჯერ არ ჩამოსულა. დეპეშა მივიღეთ, — ხვალ ჩამოდის. (გოჩა — ჩემი უმცროსი ბიჭი — წელს პიონერთა ბანაკში წავიდა, მამუკა კი რეზომ — ჩემმა მეგობარმა წაიყვანა სოფელში. რეზო აგრონომია, სოფელში ცხოვრობს).

კიბე ავათავეთ და შინ შევედით.

მამუკამ მეორე ოთახში შეიხედა, მერე სამზარეულოსკენ დააპირა წასვლა.

— დედა ბაზარში წავიდა, მალე დაბრუნდება, — ვუთხარი და აივანზე გავედი. ხელით ვანიშნე, დაჯექი-მეთქი.

— კარგად დაისვენე? კმაყოფილი ხარ?

— ძალიან, მამა! რომ იცოდე, ბოლოს რა გავაკეთეთ!..

მისი წერილი მომაგონდა. — აბრეშუმის ჭიას ვუვლით ბიჭები და გოგოებიო, — გვწერდა მამუკა.

— ვიცი. აბრეშუმის ჭია გყავდათ და პარკი ჩააბარეთ, ხომ?

— ჩავაბარეთ, მაგრამ... — მამუკა ოთახში შევიდა, ჩემოდანი გახსნა და რაღაცას დაუწყო ძებნა. მოირბინა და რეზოს წერილი და რამდენიმე ფოტოსურათი გამომიწოდა.

კონვერტს თავი წავახიე.

რეზო იწერება „...მამუკა ძალიან კმაყოფილია. შეგვპირდა: ზაფხულობით ყოველთვის ჩამოვალო. ვნახოთ, როგორ შეასრულებს დანაპირებს. ჩვენს ბიჭებსა და გო-

---

* იბეჭდება შემოკლებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გონებს ისე შეუყვარდათ, — უმძიმთ, თბილისში რომ ბრუნდება“...

„ბიჭოს!“ — მამუკას ავხედე და წერილის კითხვა განვაგრძე... რეზო დაწვრილებით არაფერს იწერებოდა, — თვითონ მამუკა უკეთ გიამბობს ყველაფერსო...

წერილი კონვერტში ჩავდე. მამუკას განგებ არაფერი ვკითხე, ფოტოსურათებს დავუწყე თვალიერება.

— აი, ეს სურათია ყველაზე მთავარი, ყველანი აქა ვართ, — ერთ-ერთ სურათს თითი დაადო.

სურათი ჩვეულებრივი მეჩვენა. ვერც „მთავარი“ რამ შევამჩნიე. სურათი გადაღებულია თაღიანი ჭიშკრის წინ. სამი, ნაწნავებიანი გოგონას მარცხნივ რეზოს ვაჟი ვაჩე და მამუკა დგანან, მარჯვნივ — ორი ბიჭი. ერთს რეიტუზი აცვია, სხვებთან შედარებით მაღალია. მეორე ბიჭი ბუთხუზაა და ჯმუხა. შვიდივენი ხელი-ხელ ჩაკიდებული დგანან და იღიმებიან.

სულ ესაა. რაღაც განსაკუთრებული და „მთავარი“ სურათს არაფერი ეტყობა...

უცებ ერთმა აზრმა გამიელვა! — აქამდე არასოდეს არ მიფიქრია, რომ ყველა სურათს, რომელიც ჩვენ გადაგვიღია, თავისებური ისტორია აქვს. დახედავ და გაგონდება: როდის გადაიღე, რა მდგომარეობაში, სად და ვისთან. ახლა კი, ამ სურათმა მართლაც ძალზე დამაინტერესა და მამუკას ვუთხარი:

— მიამბე, ყველაფერი მიამბე.

მამუკამაც მიამბო.

დილით, ჰანტელებით ვარჯიშის შემდეგ, მამუკა სოფელს ეცნობა. ძალიან მოსწონს ჭადრების ხეივანი, პარკი — სოფლის შუაგულში. ვაჩესაგან გებულობს: მალე აქ ჩაის ფაბრიკა უნდა აშენდეს საერთო საცხოვრებლებითო. ორივენი ოცნებობენ ქალაქად გადაქცეულ სოფელზე, მაღალ შენობებსა და ფართო ქუჩებზე. მდინარე ლამის პირას მამუკა გაეცნობა გიზოს და გაგის. ბიბლიოთეკის წინ მეზობელ გოგონებს: მანანას, ეუეუნას და მზიას ხვდებიან. მერე მამუკა და ვაჩე ახალი სკოლის მშენებლობას ათვალიერებენ. შინ ბრუნდებიან და რეზო ბიძია კვირას ტბაზე სათევზაოდ წაყვანას ჰპირდება მათ. ღრმა შთაბეჭდილებით აღსავსე მამუკას რაღაც ახლის მოლოდინში ჩაეძინება.

გვიან გამეღვიძა. ჩავიცვი და აივანზე გამოვედი. ვაჩე კიბეზე იდგა და ჰანტელებით ვარჯიშობდა.

— წეღან გიზო იყო, — მითხრა ვაჩემ, — შენთან სალაპარაკო ჰქონდა. გეძინა და აღარ გაგაღვიძე.

მზე უკვე კარგა მაღლა იდგა, ჭადრების ტოტებში იჭყიტებოდა. ჩემს თავზე გავბრაზდი, ამდენი ხანი როგორ მეძინა-მეთქი.

— წავიდეთ და ვკითხოთ, რა უნდოდა, — ვუთხარი მე.

— მოიცა, მე გეტყვი, რაშიცაა საქმე, — ვაჩე ჰანტელების ქნევით მომიახლოვდა. — კინოაპარატი გვინდა ვიყიდოთ.

— კინოაპარატი?!

— ჰო, კინოაპარატი! გუშინ მიუღიათ უნივერმაღში, გიზომ მოიტანა ამბავი.

— მერე და, რად გინდათ კინოაპარატი?

— როგორ თუ რად გვინდა! კინოსურათს გადავიღებთ.

— კინოსურათს?! — დაეჭვებულმა შევხედე, — ჰე, ჰე, ადვილი ხომ არ გგონიათ?

— არა, მაგრამ... გიზომ იცის აპარატის ხმარება; ერთი წელი კინომოყვარულთა წრეში დადიოდა და იცის... პირველი სურათი შეიძლება მთლად კარგი არ გამოგვივიდეს, მაგრამ არა უშავს, თანდათან გავიწაფებით.

— კი მაგრამ, აპარატი ხომ ძალიან ძვირი ღირს? იმდენი ფული...

— ფული გვექნება!

— საიდან?

— აბრეშუმის ჭიას მოვუვლით და პარკს ჩავაბარებთ. უკვე ვიანგარიშეთ: თხუთმეტი გრამი მური რომ მოვიტანოთ, იმდენი პარკი გამოვა — აპარატსაც ვიყიდით და კიდევ მოგვრჩება ფული.

— მართლა?

— რა თქმა უნდა! სულ შვიდნი ვიქნებით, — ვინც ამ ქუჩაზე ვცხოვრობთ.

— როგორ, ამოდენა ქუჩაზე თქვენს მეტი არავინ ცხოვრობს?

— როგორ არა, მაგრამ ზოგი სად წავიდა და ზოგი სად... რა, შენი ფიქრით, ცოტანი ვართ? შვიდი კაცი აბრეშუმის ჭიას კი არა, მთელ სოფელს მოუვლის! — ამაყად ჩაიცინა ვაჩემ, — მზიამ, ეუეუნამ და მანანამ უკვე იციან, — გაგიმ გააფრთხილა. მანანას ისე გახარებია, ალბათ მთელი ღამე არ უძინია. კინომსახიობი უნდა გახდეს და, ხომ იცი...

— ააა, — ჩავილაპარაკე მე და მანანას სახე დამიდგა თვალწინ: დახრილი წამწამები, აჭიმული წარბები... ვაჩეს ვუთხარი:

— ეგ მანანა დიდი მეტიჩარა ვინმე ჩანს.

— არა, არა! — წამოიძახა ვაჩემ. — რაღაცნაირი ლაპარაკი იცის და ამიტომ გგონია.

— ეუეუნა და მზია რას აკეთებენ?

— მზიას უნდა, მოჭადრაკე გამოვიდეს...—ვაჩე ახტა და ვაშლის ტოტს წაეპოტინა.

— ეუეუნა?

ვაჩე ისევ ახტა და ფურცელი მოწყვიტა.

— ლექსებს წერს.

— ბიჭოს! კარგ ლექსებს წერს?

— ისე რა, კედლის გაზეთში ათავსებენ ხოლმე...

— ჩაილაპარაკა ვაჩემ და უცებ მკითხა: — შენ ხომ თანახმა ხარ?

— მე? მე, რა თქმა უნდა, თანახმა ვარ.

ცოტა წავივარჯიშე და პირი დავიბანე. მერე ვისაუზმეთ და გიზოს სახლისაკენ გავსწიეთ. გიზო ახლოს ცხოვრობდა, მეხუთე სახლში. გოგოები უკვე შედგომოდნენ საქმეს, ჩელტები ეზოში გამოეტანათ და ცოცხით ასუფთავებდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შორიდან მივესალმეთ. მზია გაწითლდა. ალბათ მანანამ და ჟუჟუნამ უთხრეს რაღაც ისეთი. გიზო და გაგი ჭიშკართან იდგნენ. გიზო ველოსიპედზე იჯდა, ერთი ფეხი მიწაზე ედგა.

— თქვენ გელოდებით, — გვითხრა გიზომ.

გაგიმ მხარზე ხელი დამაღო და მითხრა:

— იცი?

— ვიცი, — მივუგე მე, — მაინც, რის გადაღებას აპირებთ?

— რამდენი რამის გადაღება შეიძლება, მოვილაპარაკოთ...

— მე გეტყვით, რა უნდა გადავიღოთ! — შესძახა მანანამ, — მოგზაურობა მოვაწყოთ სადმე და ამის შესახებ გადავიღოთ!

— ძმას გეფიცებით, მშვენიერია! — გაგი მაშინვე დაეთანხმა, — ორაგვის გამოქვაბულისაკენ მოვაწყოთ მოგზაურობა.

— გადაღება გაგვიჭირდება, — თქვა გიზომ, — სჯობს, ჯერჯერობით ისეთი რამ გადავიღოთ...

ერთხანს სიჩუმე ჩამოვარდა. ყველამ ცალ-ცალკე დავიწყეთ ფიქრი, — რა იქნებოდა უკეთესი, რა გამოდგებოდა ჩვენი ფილმის თემად. უცებ ერთმა აზრმა გამიელვა და წამოვიძახე:

— მოვიფიქრე!

ყველამ მე შემომხედა.

— ავდგეთ და ახალი სკოლის მშენებლობა გადავიღოთ. პირველ სექტემბერს ყველა ნახავს ამ სურათს. ცუდი იქნება?

— ძალიან კარგია! — გაეხარდა გიზოს

— აქამდე როგორ ვერ მოვიფიქრე! — შუბლზე ხელი იტაცა გაგიმ, — არ მოგწონთ, გოგოებო?

— რატომაც არა! — გაეღიმა ჟუჟუნას.

— დიდებულია! — წამოიძახა მანანამ.

— მომწონს, ძმაო! — ტაში შემოჰკრა გაგიმ. გიზო და ვაჩე კმაყოფილი მიდი-მოდიოდნენ. მზიასაც მოეწონა ჩემი წინადადება.

— ახლა კი წავალ და მურს მოვიტან, — თქვა გიზომ და ველოსიპედი ეზოდან გააქროლა.

— მოდით, ჩვენ ჩელტებზე გადასაფარებელი ქაღალდი დავჭრათ, — გვითხრა გაგიმ.

— სად უნდა გავმართოთ ჩელტები?

— ეგერ, ე, პირველ სართულზე.

სახლი ორსართულიანი იყო, აგურისა. მე და ვაჩემ ღია ფანჯრიდან ოთახში შევიხედეთ. ორივე მხარეს, სამ მწკრივად, თაროები იყო ჩელტების დასაწყობად. ბუხარში სამი ღერი თავწამწვარი შეშა და ნახშირი ეყარა.

— ეს გიზოს ბებია მარიამის საყაჭეა, — ამიხსნა გაგიმ. — ყოველ წელს აბარებს პარკს.

გოგოებმა დაგვიძახეს, ჩელტები მზად არის, წაიღეთო. ჩელტები მივზიდეთ და თაროებზე დავამწკრივეთ. მერე გაგიმ მეორე სართულის აივანზე აირბინა, დაგორგლილი ქაღალდი და მაკრატელი ჩამოიტანა. მანანამ მაკრატელი გამოართვა და უთხრა, ქაღალდებს ჩვენ დავჭრით, თქვენ კი თუთის ფურცელი მოიტანეთო.

თუთა ღობესთან იდგა. ღობეზე შევდექით და კრეფა დავიწყეთ.

— ეს ერთი ხე ხუთი დღის მარაგია, — მითხრა გაგიმ.

— პირველ ხუთ დღეს ნამდვილად ეყოფათ, — დაეთანხმა ვაჩე, — მერე კი, რაც ამ ხეზე ფურცელია, ამდენი მარტო დილიდან შუადღემდე დასჭირდებათ.

— დიდი ღორმუცელები ყოფილან, — ჩავიცინე მე.

— ნუ იტყვი! — გაიცინა გაგიმაც, — მერედა, როგორი წუნიები არიან! დღეს მოკრეფილ ფურცელს ხვალ კი არ მიირთმევენ, აბა!

— ნედლი ფურცელი უყვართ, — ჩაილაპარაკა ვაჩემ.

— მზია, — გაიღრიჭა გაგი, — ახლა ერთი კალათა ბალი რომ არ მოიტანო, მამუკა რას იტყვის? არა, ვაჩე?

— კარგი ერთი, რა უნდა ვთქვა, — ჩავილაპარაკე მე..

— სირცხვილია, სტუმარი ხარ...

— ოჰ, ოჰ! — გაეღიმა მზიას, — ნუ .გააწყალე გული მაგ შენი ქლესაობით.

მზია წამოდგა და გაიქცა.

მანანამ და ჟუჟუნამ ქაღალდები დაჭრეს და ჩელტებს გადააფარეს. მალე გიზოც დაბრუნდა და პატარა, თეთრი კოლოფით მური მოიტანა.

მანანამ კოლოფი ჩელტზე გადმოაპირქვავა და მური



ეროვნული ბიბლიოთეკა

თითებით გაშალა. ჟუჟუნამ ფურცელი დააყარა. ფანჯარაში ბებია მარიამმა შემოიხედა და იკითხა

— რამდენი გრამი მოიტანეთ?

— თექვსმეტი.

ბებია ოთახში შემოვიდა და ჩელტზე გაშლილ მურს დახედა. ფურცლები სათითაოდ აკრიფა, მური კიდევ უფრო გაშალა და ფურცლები ისევ დააყარა.

— ასე მეჩხრად უნდა გაანაწილოთ, ჭიას ჰაერი უნდა.

ბებია მარიამმა სათითაოდ შეგვათვალიერა. მე ახლალა შემამჩნია. ხელი ჩამომართვა და გამიღიმა, მერე გაგის ჰკითხა:

— რავაა, ბიჭო, ჯონდო?

— ვერაა კარგად, — ხმა გაებზარა გაგის.

— ოი, ოი, ღმერთო, მოსპე და ამოაგდე იგენის სახსენებელი, დალუპეს ბიჭი, — ამოიოხრა ბებია მარიამმა.

ვერაფერს ვერ მივხვდი: ვინ იყო ჯონდო ან რა მოუვიდა.

გარეთ რომ გამოვედით, ვაჩე დავიმარტოხელე და ვკითხე:

— ჯონდო ვინ არის?

— გაგის უფროსი ძმაა.

— ავადაა?

— ავადაა. იცი, რთული ოპერაციის გაკეთება სჭირდება, კეფაზე.

— რატომ?

— მოდით, თამაში არ გინდათ? — დაგვიძახა ამ დროს გაგიმ. გიზოს ბურთი გამოეტანა და ხელბურთს თამაშობდნენ.

— მერე გეტყვი, — მითხრა ვაჩემ, — თუმცა, მამაჩემმა უფრო დაწვრილებით იცის ყველაფერი, საღამოს ვაამბობინოთ.

ეზოში მზიამ შემოირბინა.

— მოვიდა ბალი, — შესძახა გაგიმ. — აბა, ჩადექით რიგში...

— მზია რა მორცხვი ყოფილა, სულ წითლდება, — ვუთხარი ვაჩეს.

— მორბოდა და ალბათ მიტომ გაწითლდა.

— ჰო, ალბათ... — ჩავილაპარაკე მე. ჩემთვის კი ვიფიქრე: ძალიან მორცხვი ყოფილა, გუშინს აქეთ, ვინ იცის, რამდენჯერ გაწითლდა...

რა შეემთხვა ჯონდოს

ნავახშმევს, რეზო ბიძია, ვაჩე და მე აივანზე გამოვედით.

— მამა, — უთხრა ვაჩემ,— მამუკას ჯონდოს ამბავი აინტერესებს.

— ჰოო? — თქვა რეზო ბიძიამ, — მერედა უამბე; შენც ხომ იცი.

ვაჩე სკამზე გასწორდა, მერე დაიწყო:

— ჯონდო ჯარში იყო, ამ გაზაფხულზე დაბრუნდა...

— ესე იგი, — გააწყვეტინა რეზო ბიძიამ, — მოიხადა სამხედრო ვალდებულება და შინ ბრუნდებოდა.

— ჰო, სამხედრო ვალდებულება მოიხადა და შინ ბრუნდებოდა. მაგრამ სანამ აქეთ გამოემგზავრებოდა, ერთმა ესტონელმა ამხანაგმა თავის სოფელში ჩაიყვანა. იმ სოფლის ტყეში ბევრი კურდღელი ყოფილა. მეორე დღეს, ჯონდო და მისი ამხანაგი სანადიროდ წასულან... ერთ ბორცვზე რომ გადადიოდნენ, უცებ იქვე ახლოს ნაღმი აფეთქებულა...

— ნაღმი?!

— ჰო, ნაღმი, აფეთქებულა და ქვები ზვავად წამოსულა, ერთი დიდი ქვა კლდის ქიმზე ასხლეტილა და ჯონდოს ამხანაგს თურმე თავში დაეცემოდა, რომ...

— ოი! — თვალები დავხუჭე მე.

—ჯონდოს ხელი უკრავს და ამხანაგი განზე გადაუსროლია. მერე თვითონაც იქით დაუპირებია გადახტომა, მაგრამ ვერ მოუსწრია. ერთი პატარა ქვა კეფაზე დასცემია და ჯონდოს იქვე დაუკარგავს გონება... აფეთქების ხმაზე მთელი სოფელი ფეხზე დამდგარა. ჯონდოსთვის სასწრაფო ოპერაცია გაუკეთებიათ. გამომჯობინებულა კიდეც, მაგრამ ახლა ისევ ცუდად ხდება ხოლმე; ექიმმა თქვა, ხელახალი ოპერაცია სჭირდებაო. მაგრამ ეშინია...

— ვის, ექიმს?

— ჰო, რთული ოპერაცია ყოფილა და ეშინია...

სიჩუმე ჩამოვარდა. ცა ვარსკვლავიანი და მშვიდი იყო. ეზოში ჭრიჭინები ჭრიჭინებდნენ. ჰრიიი, ჰრიიი, — იძახდა რაღაცა.

— კი მაგრამ, — წამოვიძახე მე — საიდან გაჩნდა იქ ნაღმი?

— ბორცვი ომის დროს გერმანელებს დაუნაღმავთ.

— იქნებ კიდევ არის იქ ნაღმი?

— გორაკი შეუმოწმებიათ, — მითხრა რეზო ბიძიამ,— სხვა ნაღმებიც აღმოჩენილა და ამოუღიათ.

●

იწყება შრომისა და დასვენების საინტერესო დღეები. ოთახში, სადაც აბრეშუმის ჭიისთვის ჩელტები აქვთ გამართული, მორიგეობა შემოიღეს. ეხმარებიან ნაცნობ მფრინავს — იშოვნოს ოცკილოგრამიანი საზამთრო, რომელიც თავის მეგობარს დაბადების დღეზე უნდა მიართვას. მზიარული პილოტი მეგობრებს შვეულმფრენით გაასეირნებს. მამუკა გოჩას წერილებს სწერს, თვითონ კი გოჩას წერილებით პიონერთა ბანაკში მომხდარ ამბებს გებულობს. ბევრი საინტერესო ამბები შეიტყო მამუკამ სოფელში: მეფე-მუხის ზღაპარი, რატომ ქვია მტკვარს რუსულად „კურა“, მონაწილეობს ჭის ამორეცხვაში... ასე შეუმჩნევლად გარბიან დღეები.

...მანანა კინოგადაღებისათვის ახალ კაბას იკერავს. დანარჩენებიც მოუთმენლად ელიან ამ დღეს. გაგის საქციელი აოცებს მამუკას. მართალია, გაგის ყოველ დილით ნახულობს, მაგრამ თითქოს „გულის აცრუებას“ ატყობს. გაგი ჩუმად „მიიპარება“ ხოლმე სადღაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სად დადის გაგი? არც სკოლის მშენებლობაზე კადრულობს იგი მოსვლას, სადაც გიზომ, ვაჩემ და მამუკამ სამი დღით შეცვალეს კულტურის სახლის მშენებლობაზე წასული მუშები. საღამოს, შინ რომ დაბრუნდნენ, რეზო ბიძიასა და ნანა დეიდას საუბარს მოჰკრეს ყური: ჯონდოს თურმე ოპერაციის გაკეთება გადაუწყვეტია. მკურნალობის შემდეგ კი ხანგრძლივი დასვენება სჭირდება. ოჯახი ფულს აგროვებს. ამ მიზნით, გაგი ხილის დამამზადებელ პუნქტში მუშაობს. აი, თურმე, სად დადიოდა გაგი. მამუკა, ვაჩე და გიზო იმ ღამესვე მიიღებენ ერთ გადაწყვეტილებას... დილით, ამ გადაწყვეტილებას გოგონებს გაანდობენ... და აი, რა მოხდა პარკის ჩაბარების დღეს.

ჩვეულებრივი, მზიანი დილა იყო.

მე და ვაჩე გიზოს ეზოს რომ მივუახლოვდით, აბრეშუმის პარკის სუნი მეცა.

საოცრად კარგ ხასიათზე დავდექი. თითქოს ეს იყო ახალი პერანგების, მაისურების, წითელი ყელსახვევების, ცისფერზოლიანი ცხვირსახოცების, ფერადი ჰალსტუხების, მზიას, მანანასა და ჟუჟუნას ბაფთების სუნი.

შევედით ეზოში. მეგობრები უკლებლივ დაგვხვდნენ. გაგიც მოსულიყო.

ბებია მარიამმა უკანასკნელი შემოვლა დაიწყო. პარკს ხელში იღებდა, ყურადღებით აკვირდებოდა, მერე ყურთან მიიტანდა და გააქან-გამოაქანებდა.

— მშვენიერი პარკია, — გვითხრა ბოლოს, — დაარჩიეთ და წაიღეთ.

ნასადილევს დავარჩიეთ პარკი, გოდრებში და კალათებში ჩავყარეთ და მეზობლის მანქანით მიმღებ პუნქტში წავიღეთ.

მწონავმა პარკი ორჯერ აწონა, ქვითარი გამოწერა და გვითხრა: ხვალ თუ არა, ზეგ აუცილებლად მიიღებთ ფულსო.

ამ დროს, პუნქტის ჭიშკართან „მოსკვიჩი" გაჩერდა. მანქანიდან ორი კაცი გადმოვიდა: ერთი — მაღალი, მეორე — დაბალი.

—რედაქციიდან მოვიდნენ! — შესძახა ვაჩემ.

მაღალი კაცი კორესპონდენტი აღმოჩნდა, დაბალი — ფოტორეპორტიორი. იმ კაცს გავდა, „დინამოს" სტადიონზე ფეხბურთის თამაშის დროს სურათებს რომ იღებს ხოლმე — მელოტი, ჩასუქებული.

კორესპონდენტმა ჩვენი სახელი და გვარები ჩაიწერა, გაგვიღიმა და გვკითხა:

— აღებული ფულით კინოაპარატს ყიდულობთ, არა?

— დიახ! — წამოცდა მანანას და უხერხულად შემოგვხედა.

— გვინდოდა გვეყიდა, მაგრამ... — დაიწყო გიზომ.

— მაგრამ რა? გადაიფიქრეთ?

— აპარატი გაიყიდა! — მიუგო გიზომ. მე ვაჩეს მკლავზე ვუჩქმიტე.

— გაიყიდა? რას ამბობთ?!. — შეჰყვირა გაგიმ.

— ჰოო? რა ვუყოთ მერე, კიდევ მიიღებს მაღაზია და მაშინ იყიდეთ. მთავარი მაინც ის არის, რომ იშრომეთ, აბრეშუმის ჭია გამოზარდეთ და პარკი ჩააბარეთ! — გვითხრა კორესპონდენტმა და თავის უბის წიგნაკში რაღაც ჩაიწერა.

ფოტორეპორტიორმა მხარზე გადაკიდებული ფოტოაპარატი ჩამოიღო.

ჯერ ჩვეულებრივი სურათები გადაგვიღო, ცალ-ცალკეც, წყვილ-წყვილადაც. მოკლედ, ისე, ვისაც როგორ მოგვეპრიანა. მერე კი ალერსიანად გვთხოვა: ახლა მობრძანდით და ჭიშკართან ჩამწკრივდით, ხელიხელს ჩაჰკიდეთ და გაიღიმეთო. გვითხრა, ეს სურათი გაზეთში დაიბეჭდებაო.

ჩვენც ავდექით, ჭიშკართან მოვეწყვეთ და ფოტორეპორტიორმა აი, ეს სურათი გადაგვიღო. შეგვპირდა — მალე თითო სურათს ყველას გამოგიგზავნითო.

კორესპონდენტს და ფოტორეპორტიორს მადლობა გადავუხადეთ და მხიარულად გამოვბრუნდით შინისაკენ.

გაგი გოგოებთან ერთად წინ მიდიოდა, რაღაცას ყვებოდა. გოგოები გულიანად კისკისებდნენ. მზიამ რამდენიმეჯერ მოიხედა უკან და გვანიშნა, — რაღას უცდითო.

გიზო ყოყმანობდა, ქვითარს თითს უკაკუნებდა. ბოლოს გაბედა:

— გაგი, საქმე გვაქვს შენთან!

გაგი შეჩერდა. გოგოები შორიახლო დადგნენ.

გიზომ კეფა მოიქექა და განაგრძო:

— ჩვენ ხომ მეგობრები ვართ?

— ახალი ამბავი! — გაიკრიჭა გაგი.

— ხომ ყველას გვიყვარს ერთმანეთი?

— კი, მერე რა!

— რა და, — ვეღარ მოითმინა ვაჩემ, — გვინდა, რომ ჯონდო მალე გამომჯობინდეს და ისევ ითამაშოს ფეხბურთი; ბიჭებო, გახსოვთ, როგორ თამაშობდა?

— როგორ არ მახსოვს! — წამოიძახა გიზომ. გაგის ჯერ გაეღიმა, მერე სინანული გამოეხატა სახეზე და თავი დახარა.

— ჰოდა, აი, ყველამ გადავწყვიტეთ, ყველა თანახმაა, რომ... ხომ მართალს ვამბობ, გოგოებო?

—მართალია! — წამოიძახეს გოგოებმა.

— ჰო, გადავწყვიტეთ, რომ... აჰა, გაგი, გამომართვი,— გიზომ ქვითარი გაუწოდა, — ოპერაციის მერე ხომ ჯონდო დასასვენებლად უნდა წავიდეს; ალბათ, დიდხანს დასჭირდება დასვენება... ჩვენ ყველას გვინდა, რომ მონაწილეობა მივიღოთ... ჯონდო ხომ ჩვენი უფროსი, საყვარელი ძმაა... გვინდა, რომ კარგად გახდეს... აიღე, გაგი!

— რაა?! — გაგიმ ცრემლიანი თვალები შემოგვანათა.

— აიღე ეს ქვითარი! — უთხრა ვაჩემ, — ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ ჯონდოს გამოჯანმრთელებას მოხმარდეს ეს ფული.

გაგი გვერდზე გახტა, გაქცევა დააპირა. გიზო წინ გადაუდგა. მეც იქვე გავჩნდი.

— აიღე, გაგი! — უთხრა მზიამ.

— აიღე! — ერთხმად ვთქვით ყველამ.

გაგიმ თავი ჩაჰკიდა. ცრემლები პატარა კენჭებზე იმსხვრეოდნენ და შრებოდნენ, იმსხვრეოდნენ და...

— მე... მე... — ალუღლუღდა გაგი.

— ნუ ტირი, გაგი, — ვუთხარი მე, — ჩვენ ყველაფერი ვიცით და ასე გადავწყვიტეთ.

გიზომ ქვითარი გულის ჯიბეში ჩაუტენა. გაგიმ თავი გაიქნია და გიზოს მაჯაში სწვდა.

— თუ შენ არ აიღებ, — გაჯავრდა გიზო, — სულერთია, დედაშენს მივუტანთ.

— კინოაპარატი ამიტომ არ იყიდეთ, — გაგის ცრემლები ღაპა-ღუპით ჩამოსცვივდა, — კორესპონდენტსაც ამიტომ უთხარით, გაიყიდაო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა მოხდა, გაგი, აპარატს გაისად ვიყიდით! — წამოიძახა მანანამ.

— ჰო, რა თქმა უნდა! — თქვა ვაჩემ, — იცით, რა ვქნათ?

— რა? — ჰკითხა მზიამ.

— რა და, კონკურსი მოვაწყოთ!

— კონკურსი? რაზე?! — გაუკვირდა ჟუჟუნას.

— რაზე და... იმაზე, რაც მომავალ ზაფხულს უნდა გადავიღოთ! ყველამ ჩვენ-ჩვენთვის ვიფიქროთ, ვისი თემაც უკეთესი იქნება, იმას გადავიღებთ! — შესძახა მანანამ.

— რა თქმა უნდა!

— ვნახოთ, ვინ უკეთესს მოიფიქრებს!

— ვნახოთ, — ჩაილაპარაკა ჟუჟუნამ.

გაგი ისევ თავდახრილი იდგა და ფეხსაცმელის წვერით მიწაზე რაღაცას ხაზავდა. უცებ ქვითარი დააგდო და გაიქცა. გიზო რამდენიმე ნახტომით წამოეწია და გაჩერა.

— არ ავიღებ, არა!

— მოეშვი, დედამისს მივუტანოთ!.. — თქვა ვაჩემ და ქვითარი აიღო.

— არა გრცხვენია, გაგი? — ალერსიანად უთხრა მანანამ, — ჩვენ ხომ მაგ ფულს ჯონდოს ვაძლევთ, და არა შენ!

გიზომ ვაჩეს ქვითარი გამოართვა და გაგის ჯიბეში ჩაუდო. გაგის წინააღმდეგობა არ გაუწევია. ჩვენ ერთმანეთს გადავხედეთ და თავისუფლად ამოვისუნთქეთ.

წამოწინწკლა.

— აბა, თუ იცით, — გვითხრა მანანამ, — რატომ არის წვიმის წყალი თავის დასაბანად კარგი?

— თმას არბილებს, — უპასუხა მზიამ,—წვიმის წყალში მარილები არაა.

— მართალია...

წვიმამ მოუმატა, მაგრამ ჩვენ არ ვჩქარობდით, ნელი ნაბიჯით მივყვებოდით გზას...

ჯონდო და დედამისი მეორე დღეს გაემგზავრნენ თბილისში. ერთი კვირის შემდეგ დეპეშა მოვიდა: — ოპერაციამ კარგად ჩაიარა, ჯონდო თავს უკეთ გრძნობსო.

ამ ამბავმა ძალზე გაგვახარა. გაგიმ ჯერ ტირილი დაიწყო, მერე აცეკვდა, სიხარულისაგან აღარ იცოდა რა ექნა, სხვანაირად ვერც წარმომედგინა, სხვანაირად არც შეიძლებოდა, არა, მამა?

ჩემი გამომგზავრების დღეც დადგა. საღამოს ჩავჯექი ცისფერ ავტობუსში და სადგურში ჩამოვედი. ყველამ გამომაცილა.

მატარებელი მალე ჩამოდგა.

გოგოებს სწრაფად ჩამოვართვი ხელი. გაისადაც ჩამოდიო,— მითხრეს.

— ჩამოდი, აუცილებლად, ჩამოდი! — გადამეხვია გაგი.

— მომავალ ზაფხულს რომ კინოაპარატი არ ვიყიდოთ, მანანა გადაგვასახლებს! — წამჩურჩულა გიზომ და ისიც გადამეხვია. ვაჩეც გადამეხვია.

რეზო ბიძიამ წერილი მომცა, მამას გადაეცი. ნანა დეიდამ კი შუბლზე მაკოცა...

ვაგონის კიბეზე რომ ავდიოდი, ვაჩემ წამჩურჩულა:

— მზია მართლაც მორცხვი ყოფილა. შეამჩნიე, ხელს რომ გართმევდა, როგორ გაწითლდა?

— რას ამბობ, მართლა?! — ვუთხარი მე და მზიას შევხედე...

— ხმა ჩამეხრინწა, რამდენი ვილაპარაკე! — მითხრა მამუკამ და ჩაახველა.

რა უნდა მეთქვა? ვიჯექი და კმაყოფილი, გახარებული შევყურებდი ჩემს ბიჭს. მერე ავდექი, მკლავებზე ხელები მოვკიდე და მაგრად მოვუჭირე.

— გინდა ვიჭიდაოთ?

— ვიჭიდაოთ! — თქვა მამუკამ და გაიცინა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი ენა

გრიგოლ უსაჩი

მზის ღიმილი, კიდით-კიდე,
ქვეყნად ყველას აიმედებს,
მზის ღიმილი უყვართ დიდებს,
პატარებს ხომ, — მითუმეტეს.

მზე — მაღალი, მზე—
ცხრათვალა,
დღეცისმარე ზრუნვით სავსე,—
ყველგან სითბოს მისატანად
ოქროს ეტლით მიჰქრის ცაზე.

მიჰქრის ეტლი, ოქროს ეტლი,
მიმოაბნევს ცინცხალ ფერებს;
მიჰქრის ეტლი... მე შენ გეტყვი,
სადმე მიჯნა შეაჩერებს!

აგერ, ჩვენს თვალს მიეფარა,—
პოლონეთის თავზე ელავს...
გადუქროლებს მთათა ფარას,
მთელ ევროპას გადასერავს;

გადაცურავს ოკეანეს —
ბობოქარს და
თვალუწვდენელს;
და... „მოდისო", — ტოროლანი
ამერიკას აუწყებენ.

...და კვლავ გზები, შორი გზები,
ოკეანე, ზღვები, მთები...
კორეა და მონღოლეთი...
ვრცელ სტეპების მწვანე
მკერდი...

და მზე ბოლოს, ნება-ნება,
დნეპრის ზვირთში განბანდება.

და ვიძახით: — ჩვენი მზეა, —
ეგზომ ტურფა, საყვარელი!
— ჩემი მზეა! ჩემი მზეა! —
იმეორებს ავღანელი.

იმეორებს ყველა ბავშვი,—
ჩინელი თუ ესპანელი,
ფრანგი, სპარსი, ინგლისელი,
ბულგარელი, გერმანელი...

მზეც, — ბავშვების
გასახარად, —
დადის, დაჰქრის კარდაკარა.

დაჰქრის, დააქვს მისართმევი:
შუქი, სითბო, რწმენა ხვალის...
და მიწაზე, მზის ნათელით,
სიკეთის ხე მუდამ ჰყვავის.

თარგმნა ს. შამშრიანმა

„პიონერია" ან „პიონერია"

როკოლოზ ოსტროვსკის სენნია

ანაგოლი შჩერბინა

ნახატები ბ. ნეჩიპორენკოსი

მოთხრობა

სახურავი ფიქალით მანქანის დატვირთვა საღამოს დაამთავრეს. სერგეიმ მაშინვე გარეკა „ზილი". „მარინოვკამდე შორი გზაა, — გაულვა მას და გააყრეოლა, — მერედა, როგორ ყინავს!"

როცა მალაზიას მიუახლოვდა, სიჩქარეს უკლო: „პაპიროსს ვიყიდი და ისევ გავუყვები გზას".

მანქანასთან რომ დაბრუნდა — გაოცდა: კაბინაში ბიჭი იჯდა. იგი თოთხმეტი წლის იქნებოდა. შავ-შავ, დიდრონ თვალებს მოუსვენრად აბრიალებდა, ლოყები აჭარხლებოდა. სერგეი ერთ წუთს უძრავად იდგა, მერე თოვლი ჩამოიბერტყა და საჭეს მიუჯდა.

— შენ აქ როგორ გაჩნდი? — უკმაყოფილოდ გადახედა მძღოლმა ბიჭს და ძრავა აამუშავა. სიჩქარის ჩართვისას სერგეი იდაყვით შეეხო მგზავრს. ბიჭმა მორიდებით ჩაიწია და შემკრთალი მიაჩერდა მძღოლს.

— თქვი, ვინ დაგპატიჟა?—ბიჭისაკენ არც მოუხედავს, ისე იკითხა გაბრაზებულმა სერგეიმ.

— არავინ. მეც მარინოვკაში ვარ წასასვლელი. წამიყვანეთ, ბიძია!

— სადაური შენი ბიძია ვარ! — უყვირა სერგეიმ.

— მაშ, როგორ...— გაბედა ბიჭმა.

— სერგეი დამიძახე, მორჩა და გათავდა.

სამუშაოს დამთავრების შემდეგ, როცა ყველა მძღოლი უკვე დასასვენებლად იყო წასული, მარინოვკაში გამგზავრება არცთუ ისე სასიამოვნო იყო. ისიც ასეთ ამინდში! „რაღა მე ამომარჩიეს. განა ცოტა მანქანაა გარაჟში?" — მან ისევ ქუშად გადახედა ბიჭს:

— შენ რა, შინიდან ხარ გამოპარული?

სიჩქარეს მოუმატა და ფრთხილად შეუარა გვერდი თოვლის ნამქერს.

— პირიქით, შინ მივდივარ! მე მარინოვკელი ვარ. დასთან ვიყავი ქალაქში. ახლა თქვენთან ერთად მინდა სახლამდე ვიმგზავრო. ამ გზით მხოლოდ ჩვენთან მოხვდებით.

გზა ცუდი იყო. ხან თოვლის ნამქერები ხვდებოდათ წინ, ხანაც ფარნების შუქზე შავად პირდაბჩენილი ღრანტეები. „ზილი" ჯაყჯაყით გადადიოდა ოღრო-ჩოღროებზე. ძრავა თუხთუხებდა. ჭახ... ჭახ... ჭახ...—შეუჩერებლად ჭახჭახებდნენ მუხრუჭები. ყრუდ ჭრაჭუნებდა ფიქალი. „და ყველაფერი ეს აჩქარების ბრალია,—ზურგს უკან პატარა ფანჯარას გახედა, — არ დაიმსხვრეს მაინც," — ღელავდა სერგეი.

უცებ, ამ რახრახში ბიჭის ხმა მოესმა:

— მე ორი სახელი მქვია. მართლა! — დააქნია მან თავი, თუმცა სერგეის ეს სულაც არ გაჰკვირვებია, — სოფელში ყველანი „მწყემს-ნიკოლკას" მეძახიან, საბუთებით კი ნიკოლოზ ოსტროვსკი ვარ; თქვენ, ალბათ, წაგიკითხავთ წიგნი — „როგორ იწრთობოდა ფოლადი".

„ეს ვინ ყოფილა! ბიჭოს, ახალი მწერალი გამოგვეცხადა, ოსტროვსკის ორეული... ჰმ... წაგიკითხავთო?—სერგეიმ დაცინვით გადახედა ნიკოლკას, — რამდენს ლაჭლაქებს".

— წამიკითხავს, მერე რა. ერთად წერდით თუ?..

— უი, რას ამბობთ! მე არც კი ვიყავი ამ ქვეყნად, როცა ჩემი სეხნია ამ წიგნს წერდა. იცით, შესანიშნავი ნაწარმოებია! — თითქოს მძღოლს კი არა, სხვა ვილაცას ელაპარაკებოდა ბიჭი.

— რატომ შეგარქვეს „მწყემსი ნიკოლკა"? — უხალისოდ იკითხა სერგეიმ.

— იმიტომ რომ, არდადეგებზე კოლმეურნეობის ნახირს ვაძოვებ...— ხალისიანად დაიწყო ნიკოლკამ...

— გეყოფა ახლა, გაჩუმდი, — გააწყვეტინა სერგეიმ.

ბიჭი მოიბუზა. მიყუჩდა. მხოლოდ ხანდახან მგლის ლეკვივით გადახედავდა უხეშ მძღოლს: „ბატონი ხარ... თუ გაჩუმებაა, გაჩუმება იყოს", — ფიქრობდა ნიკოლკა და მანქანის ყოველ შენჯღრევაზე თავს გადაწევდა, რომ უცაბედად მინა არ გაეტეხა.

ასე მიდიოდნენ დიდხანს.

მარინოვკამდე შვიდი კილომეტრიღა იყო, რომ უეცრად ძრავა ჩაქრა; მანქანა ცხვირით შეიჭრა თხრილში და გაჩერდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ნეტა, რა მოხდა! — გაოცდა სერგეი და სტარტერს დააჭირა. ძრავა ამუშავდა და მაშინვე დადუმდა. მძღოლი კაბინიდან გადმოხტა. ცივი ქარი სტვენით დაეჯახა და ჯუბის კალთები აუფრიალა. ცალი ხელი კალთას წაავლო, ცალით კაპოტი ასწია. სწრაფად მოქაჩა ბენზინი, მერე კაპოტი დახურა და საჭეს მიუჯდა. ძრავამ წაიხიხინა და ისევ ჩაჩუმდა.

„საწვავი ვერ აღწევს!“ — სერგეიმ ბენზინის ავზს თავი მოხსნა. მარტო გაუძნელდა ბენზინის ამოქაჩვა. „ბიჭს რომ დავუძახო — ისევ დაიწყებს ლაყბობას და გულს გამიწყალებს“.

სწორედ ამ დროს მოისმა კარის ჯახუნი და ბიჭი მის გვერდით გაჩნდა.

— მოიცათ, მოგეხმარებით, — ხელიდან გამოსტაცა ტუმბო და ქაჩვა დაიწყო, — მე ხომ სკოლის ტექნიკურ წრეში ვმეცადინეობ!

სერგეიმ უხმოდ მიადო რეზინის მილი ბენზინის ავზს. „ჰმ, გინახავთ ასეთი რამ!“.

— აბა, ჩქარა კაბინაში, — უთხრა სერგეიმ ბიჭს და თვითონ სწრაფად დაგმანა მილი.

ძრავამ ისევ რამდენიმე წუთს წაიმუშავა და რახრახით გაჩერდა. „ეს ბენზოტუმბოს ბრალია. აქ მისი დაშლა და შეკეთება არ ღირს: რადიატორში წყალი გაიყინება. მერედა, როგორი ყინვაა! შევეცდები, უმაგისოდაც იოლად წავიდე“.

მაგრამ მალე სერგეი კვლავ გადმოხტა კაბინიდან, ბენზინი ამოქაჩა და ისევ საჭეს მიუჯდა, მანქანა ორი-სამი მეტრით წინ წავიდა და გაჩერდა. სერგეი ისევ გადმოხტა... „ასე შორს ვერ წახვალ, იქ კი კოლმეურნეები სახურავს ელიან...“

— მოიცათ! — ნიკოლკამ ხელი ჩაავლო მძღოლს, — თქვენ რას აკეთებთ? იქნებ მეც შევძლო! — ბიჭს თვალები გაუბრწყინდა, — აბა, მაჩვენეთ...

სერგეი დაფიქრდა.

— გაიყინები. ხედავ, როგორ გაცვია! — მან ხელით მოსინჯა ნიკოლკას გაცვეთილი პალტო.

— ნუ გეფიქრებათ. მხოლოდ მაჩვენეთ...— ნიკოლკა მანქანის ფრთებზე აცოცდა და გვერდიდან დაათვალიერა ძრავა.

— აი ეს... — სერგეიმ ორი სიტყვით აუხსნა.

— გასაგებია, — გაიღიმა ნიკოლკამ.

— აბა, ჩამოხტი,—გასცა ბრძანება სერგეიმ და ჯუბა გაიხადა, — ჩაიცვი, ცოცხლად. ეს — შენი პალტოა თუ რაღაც მაკენტოჟი, აქეთ მოიტა, — პირველად გაიღიმა სერგეიმ.

ნიკოლკას ვიწრო პალტოში სერგეი ძლივს ჩაეტია, გაჭირვებით მიუჯდა საჭეს და ძრავა აამუშავა. „ბიჭი არ გამეყინოს!“ — გაიფიქრა მან და სიჩქარე ჩართო.

სიბნელეში ნიკოლკა არ ჩანდა, მაგრამ ძრავის თანაბარ მოძრაობაზე მძღოლი ხვდებოდა, რომ ნიკოლკამ თავი გაართვა საქმეს. სერგეი ცდილობდა მანქანა გზის ნაპირ-ნაპირ, შედარებით სწორ ადგილას ეტარებინა.

„ეგეც, შენი მწყემსი-ნიკოლკა! ჩანს, ყოჩაღი ბიჭია. ზედმეტი სიტყვების გარეშე პირდაპირ საქმეს შეუდგა... იღიმებოდა კიდეც, ხედავ, მანქანისაც გაეგება“.

სერგეიმ საათს დახედა და მხრები შეათამაშა. „— რა სიცივეა! ნიკოლკას ჩემს ჯუბაში, ალბათ, თბილა... თითქმის ორი კილომეტრი გავიარეთ. ერთი დავხედო, როგორ არის“, — გულმა ვერ მოუთმინა სერგეის.

— რატომ გავჩერდით? — აღელდა ნიკოლკა, — კიდევ გაფუჭდა რამე?

— არა, მინდოდა გამეგო, როგორ ხარ, ხომ არ გაიყინე?

— არა, წავიდეთ! — რიხიანად გაეპასუხა ბიჭი, —მეტი არ გააჩეროთ. პირდაპირ ბოსელთან მივიდეთ.

— მოიცა, შენ რა იცი!... — სერგეიმ მხრები აიჩეჩა.

— მე მწყემსი ვარ თუ ვინ ვარ! — წყენით წამოიძახა ნიკოლკამ, — იცით, ჩემი ძროხების... ესე იგი, კოლმეურნეობის ძროხების ბოსლის გადახურვა ვერ მოასწრეს. ხომ ხედავთ, როგორ დაუბერა... დილამდე იმდენ თოვლს ჩამოყრის, რომ ერთ კვირასაც ვერ გააღწევთ იქამდე. გესმით, რას ნიშნავს ახლა სახურავი ჩვენთვის! ამიტომაც გეუბნებით — ყოველი წუთი ძვირფასია-მეთქი!

— კარგი, წავიდეთ. — მოკლედ თქვა სერგეიმ.

მთვარის ცივ შუქზე მუქად ციმციმებდა თოვლი. გზის გაღმა შავად მოჩანდნენ ტიტველი ხეები. ირგვლივ — თეთრი უდაბნო... გზაზეც არავინ იყო. ყინვა მატულობდა. „ზილი“ ჭაყჭაყით გადადიოდა ღრანტეებზე. ყრუდ ტკაცუნებდა ფიქალი, ჭრიალებდა კაბინის კარი. უცებ, ამ ნაცრისფერ წყვდიადში, სერგეიმ ბოსლის განათებული ფანჯრები შენიშნა. მოშორებით კრთოდნენ მიმოფანტული სინათლეები, — ეს ახალშენი იყო. ბოსლის ღია კარებთან, ამ გვიან ღამით კოლმეურნეები ფუსფუსებდნენ.

— აბა, გადმოტვირთეთ! — გასძახა სერგეიმ მათ და თვითონ ნიკოლკას მივარდა.—ჩამოდი, მოვედით!— მან ხელი ბეჭებში ჩაავლო ბიჭს და ჩამოსვა.

ნიკოლკა ფეხზე დადგა და წაბარბაცდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ბოლოს-ბოლოს ...“

— ფეხები...—თითქოს ბოდიშობსო ისე თქვა ბიჭმა, ხელი მძღოლს ჩაჰკიდა და კოჭლობით გასწია შენობისკენ.

ოთახში ცხელოდა. ნიკოლკა სკამზე დაეშვა და საწყლად გაიღიმა, — მოვალწიეთ არა, ბიძია?

— ჩქარა, გაიხადე, — სერგეიმ ხელი სტაცა ბიჭის ჩექმებს, — ალბათ, მოგეყინა.

— არაფერია! — ხვნეშოდა ნიკოლკა, — ეს წვრილმანია, სულ ცოტათი დამაზრო ყინვამ ფეხები, მაგრამ ეს ბებერა... მარჯვენა ხელის თითზე მოზრდილი, სისხლიანი ბებერა აჯდა, — რკინამ დამიჯოჯრა...

— რატომ აქამდე არ თქვი... მე თვითონ როგორ ვერ მივხვდი, — ნანობდა სერგეი.

— ეგ არაფერია, — ისევ საწყლად გაიღიმა ნიკოლკამ და ჩექმების გახდა დაიწყო. — ეს ყველაფერი წვრილმანია, გაივლის. საქმე ისაა, თქვენ როგორ დაბრუნდებით შინ.

— ახლავე შევაკეთებ.

სერგეი კარისაკენ გაემართა, მაგრამ იქვე შედგა და მოიხედა.

— შენ რომ ვერ მიგიყვან სახლამდე? შორს ცხოვრობ?

— სირბილით მივალ, — კოჭლობით გაიარ-გამოიარა ნიკოლკამ, — თუ მანქანა სერიოზულადაა დაზიანებული, ჩვენს გარაჟშიც შეიძლება რაღაცების შოვნა. მე ვიცი, სად ცხოვრობს უფროსი. — ნიკოლკა ღუმელს მიუჯდა, ხელები ცეცხლს მიუფიცხა და სიამოვნებისაგან თვალები მოჭუტა.

სერგეი ოთახიდან გავიდა და ისევ მალე დაბრუნდა, ხელში ბენზოტუმბო ეჭირა.

— როგორაა საქმე? — იკითხა ბიჭმა.

— უმნიშვნელო დაზიანებაა.

მძღოლმა სწრაფად შეცვალა გაცვეთილი ნაწილები.

— შენ აქ იყავი ცოტა ხანს!—უთხრა სერგეიმ ნიკოლკას და ოთახიდან გავარდა.

ფიქალი გადმოტვირთეს. მძღოლმაც დაამთავრა თავისი საქმე და ძრავა ჩართო. კმაყოფილმა ნიკოლკამ გაიღიმა.

მიდიოდნენ ჩუმად.

— აი, ჩემი ქოხიც, — ნიკოლკამ ხელი გაიშვირა სახლისაკენ, რომლის წინ ორი ალვის ხე იდგა.

— გმადლობ, ნიკოლკა, ნახვამდის! — დამნაშავესავით თქვა სერგეიმ და ნიკოლკას პატარა ხელი მის დიდ თათში ჩაიმალა, — ქალაქში რომ ჩამოხვალ, ჩემთან შემოიარე... ძალიან გამეხარდება! — მცირე დუმილის შემდეგ დაუმატა, — შენი სეხნიას წიგნი, მართლაც რომ კარგია!

თარგმნა მ. თავგბერიძემ

გახსოვთ, — არკადი გაიდარის:

„მიცურავენ გემები — სალამი მალჩიშს!

გაირბენენ ორთქლმავლები — სალამი მალჩიშს!

და გაივლიან პიონერები — სალუტი მალჩიშს!“

ჰოდა, აზოვის ზღვასა და ლეგენდარულ სივაშს შორის გაწოლილ მიწის ვიწრო ზოლზე მიმალულ სოფელ სტრელკოვოში, ამ ცოტა ხნის წინ, ასეთივე ამაყი და გამბედავი ახალი მალჩიშ-კიბალჩიში გაჩნდა. სოფლის ცენტრში მაღალ კვარცხლბეკზე გმირის სკულპტურული პორტრეტი გარინდულა. სტრელკოველი გოგო-ბიჭები სკულპტურის წინ ჩავლისას უსათუოდ შეჩერდებიან ხოლმე და გმირს პიონერულ სალამს აძლევენ...

თუმცა, სჯობს ყველაფერი თავიდან დავიწყოთ.

ივნისის ადრიანი დილა იყო. სოფლის ბოლოს, დაბურულ ნეკერჩხლოვანში კარვების პატარა ქალაქი გაჩნდა. მაღალ ანძაზე ალისფერი დროშა აფრიალდა, ახმიანდა პიონერული საყვირი, ერთი სიტყვით, — ლენინგრადის 54-ე სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელები ჩამოვიდნენ დასასვენებლად.

სულ მალე პიონერებს კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ვასილ ივანეს ძე რიუმშინი ეწვია და სთხოვა მათ: ბოსტნეულის მოსავლის აღებასა და სარეველებისაგან ჭარხლის გასუფთავებაში მიშველებოდნენ კოლმეურნეებს... და აი, ქალაქელებმა და სოფლელებმა მხარი მხარს მისცეს,— გაჩაღდა შრომა; შრომა კი, როგორც ცნობილია, — ყველას ამეგობრებს.

სულ ათ დღეს იმუშავეს ბავშვებმა ბოსტანში, მაგრამ მაინც ბევრი რამ გააკეთეს: ხუმრობა ხომ არ არის, — მოკრიფო ექვსი ტონა კიტრი და მანქანებს დაუდო. შრომისმოყვარე პიონერებმა 15 ჰექტარი ჭარხალი გაასუფთავეს სარეველებისაგან, სიმინდსაც გაჰკრეს თოხი და ხეხილის ბაღშიც გულიანად იმუშავეს....

ერთხელ, სამუშაოს დამთავრების შემდეგ, ზღვაში მობანავე პიონერებთან კოლმეურნეობის თავმჯდომარე მივიდა:

— გმადლობთ დახმარებისათვის, — თქვა მან, — ნაყოფიერი მუშაო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის შემდეგ კარგი დასვენებაც საჭიროა. დაისვენეთ. იმ ფულით კი, თქვენ რომ გამოიმუშავეთ კოლმეურნეობაში, იალტაში ან სევასტოპოლში წაგიყვანთ, — ერთი სიტყვით, — სადაც მოისურვებთ...

— ყირიმი მართლაც მაცდუნებელი რამ არის, — თქვა სლავა ჩეკოვმა, — მაგრამ ჩვენ ფული უფრო გვინდა. გულახდილად რომ ვთქვათ, გამომუშავებაზე სულაც არ გვიფიქრია, მაგრამ რაკი გამოგვიწერეთ, — გადაიხადეთ.

— საინტერესოა, მაგრამ ნება გვიბოძეთ შეგეკითხოთ: რისთვის დაგჭირდათ კაპიტალი? — ჩაიცინა ვასილ ივანეს ძემ.

— ჯერჯერობით ეს საიდუმლოა.

— ბიჭოს! სამხედრო საიდუმლოებაა?

— დიახ.

— თქვენი ნებაა. გამომუშავებული გაქვთ ასორმოცდათვრამეტი მანეთი. შეგიძლიათ ახლავე მიხვიდეთ მოლარესთან.

კაცმა რომ თქვას, სულ ტყუილუბრალოდ განაწყენდა თავმჯდომარე: მან არ იცოდა, რომ პიონერები არა მარტო მუშაობდნენ, ბანაობდნენ და ფრენბურთს თამაშობდნენ, — ისინი ჯგუფ-ჯგუფად დადიოდნენ სტრელკოვოში და ცნობებს აგროვებდნენ იმ ფრონტელებზე, რომლებიც სისხლისმღვრელი ომიდან შინ არ დაბრუნებულან...

შინმოუსვლელი ბევრი აღმოჩნდა სოფელში და პიონერებმა გადაწყვიტეს — ძეგლი დაედგათ მათთვის. მალე წერილი გაუგზავნეს ლენინგრადის ერთ-ერთ არქიტექტურულ სახელოსნოს და ჯარისკაცის ბიუსტი შეუკვეთეს.

ბიუსტის მოლოდინში პიონერები უსაქმოდ როდი იყვნენ, — სოფლის ცენტრალურ მოედანზე თანდათან მაღლა ადიოდა აგურის სწორკუთხედი. გაოცებული გამვლელნი მხრებს იჩეჩდნენ, ამას რას აშენებენ ყაჩაღანებიო. „ყაჩაღანები“ კი ყურადღებას არავის არ აქცევდნენ; სტრელკოველები და ბანაკელები თავიანთ საქმეს განაგრძობდნენ, — აგურის მტვერსა და ცემენტის ხსნარში ერთიანად ამოგანგლულები შებინდებამდე ფუსფუსებდნენ მოედანზე...

მალე კვარცლბეკიც ააგეს. წერილთან ერთად, თაბაშირისაგან ჩამოსხმული ჯარისკაცის ბიუსტი მოვიდა.

ძეგლის გახსნაზე მთელი სოფელი შეიკრიბა. მოედანზე იმდენი ხალხი შეგროვდა, რომ ნემსის ჩასავარდნი ადგილიც კი აღარ დარჩა... ყველა მიყუჩდა. ძეგლიდან ნელ-ნელა, ჩამოცურდა თხელი საბურველი. შუადღის კაშკაშა მზის შუქზე, თითქოს ოდნავ შეჭმუხნული, ყველასთვის უცნობი, მაგრამ მაინც ახლობელი მებრძოლი დააკვირდა შეკრებილთა სახეებს; და მერე ყველა მათგანს თითქოს ჩაესმა მისი მწველი ჩურჩული: „ადამიანებო, გესმით, ადამიანებო! გაუფრთხილდით მშვიდობას!“

— ისმინოს ყველამ! — დაიჭექა საყვირმა.

სლავა ჩეკოვმა აირბინა კოლმეურნეობის კანტორის კიბეზე.

— მაშ ასე, მეგობრებო, — მღელვარე ხმით მიმართა მან სტრელკოველ პიონერებს: მიიღეთ ჩვენი საჩუქარი. გაუფრთხილდით მას. იყავით ამ ჯარისკაცის ხსოვნის ღირსნი...

მას კიდევ უნდოდა რაღაცის თქმა, მაგრამ ცრემლიცა და სიტყვებიც ბურთივით გაეხირა ყელში და ძირს ჩამოვიდა, სირბილით მიუახლოვდა სტრელკოვოს რვაწლიანი სკოლის რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარეს ნელი პოლტავეცს და ლამაზად მოხატული სამახსოვრო სიგელი გადასცა.

კოლმეურნეები ტალღასავით გაემართნენ ძეგლისაკენ. მათ ცოცხალი ყვავილების გვირგვინები და ბრდღვიალა ვარდების თაიგულები მოჰქონდათ და ლოცვა-კურთხევით ალაგებდნენ კვარცხლბეკთან...

* * *

თვალსა და ხელს შუა გაიპარა ერთი თვე. ლენინგრადელთა გასაცილებლად მთელი სოფელი მოვიდა. ყველაზე ბოლოს, კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვასილ ივანეს ძე მოგრიალდა საბარგო მანქანით.

— აბა, გადმოცალეთ, — მხიარულად შესძახა მან და მანქანის საფეხურიდან ჩამოხტა.

— ახლავე! — მკვირცხლად უპასუხა ტოლია რომანოვმა და სწრაფად შეახტა მანქანის ძარას. მერე კი, ცოცხალ ტრანსპორტიორზე ერთი-მეორის მიყოლებით სწრაფად მოცურავდა შეფაკლული ვაშლებით, მოყვითალო მსხლითა და შავ-მოლურჯო ქლიავით სავსე ყუთები...

გამოსათხოვარ აურზაურში მკვეთრად შეიჭრა ორთქლმავლის საყვირის ხმა.

— წერილი მოიწერეთ! — იძახდა უკვე დაძრული მატარებლიდან ედიკ დუბინსკი და თან მაგრად ართმევდა ხელს ვალერი კისელიოვსა და პეტრუსია როგოჟკინს. ედიკმა კიდევ უთხრა რაღაცა თანატოლებს

ᲘᲚᲘᲜᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘ ᲘᲣᲜᲘᲝᲠᲘ.

ᲒᲕᲔᲡᲐᲣᲑᲠᲔᲑᲐ
ᲙᲝᲠᲔᲘ
ᲚᲐᲓᲝ
ᲡᲣᲚᲐᲒᲔᲠᲘᲫᲔ

„ᲩᲕᲔᲜ ᲒᲕᲔᲥᲜᲘᲗ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲙᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘ“

ᲑᲐᲜᲓᲘᲡᲢᲘᲡᲐᲜ ᲕᲘᲝᲚᲘᲜᲘᲡᲢᲘ — ᲐᲚᲐᲜ ᲣᲠᲜᲘᲝᲡ „ᲛᲝᲜᲐᲞᲐᲠᲢᲘᲡᲢᲘ“ — ᲐᲚᲐ ᲣᲠᲜᲘᲝᲡ ᲘᲝᲜᲔᲡᲝᲡ. ᲒᲐᲛᲝᲠᲩᲘᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲜᲓᲘᲜᲘᲣᲚᲘ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲙᲚᲐᲡᲘᲡ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

ᲑᲐᲜᲓᲘᲡᲢᲘᲡᲐᲜ ᲕᲘᲝᲚᲘᲜᲘᲡᲢᲘ — ᲛᲔᲠᲕᲔ ᲙᲚᲐᲡᲘᲡ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲛᲝᲜᲐᲞᲐᲠᲢᲘᲡᲢᲘ ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘᲡ ᲜᲐᲮᲜᲝᲛᲨᲘ. ᲝᲠᲗᲝᲒᲠᲐᲤᲘᲠᲔᲑᲘᲡ 64 ᲬᲚᲘᲡ ᲫᲐᲠᲗᲘ ᲨᲔᲒᲠᲗᲕᲘᲡ.

ᲑᲐᲜᲓᲘᲡᲢᲘᲡᲐᲜ ᲕᲘᲝᲚᲘᲜᲘᲡ ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲘᲡ ᲛᲐᲜᲓᲐᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲜᲐᲮᲜᲝᲛᲘᲡ ᲓᲠᲝᲛᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲪᲮᲝᲠᲕᲠᲔᲑᲐᲡ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲛᲔᲚᲘ ᲛᲐᲢᲠᲐᲜᲑᲘ ᲛᲐᲠᲗᲐ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘᲡ ᲜᲐᲮᲜᲝᲛᲘᲡ ᲠᲓᲔᲕᲐᲖᲔ. ᲛᲐᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲞᲬᲣᲠᲕᲘᲐᲠᲘ, ᲠᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲗ ᲓᲐᲒᲔᲜᲘᲚᲘ ᲛᲐᲗᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲓᲐᲜᲐᲛᲔᲚᲘ ᲛᲐᲗᲘ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘᲡ ᲜᲐᲮᲜᲝᲛᲘᲡ ᲠᲓᲔᲕᲐᲖᲔ. ᲛᲐᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲞᲬᲣᲠᲕᲘᲐᲠᲘ, ᲠᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲗ ᲓᲐᲒᲔᲜᲘᲚᲘ ᲛᲐᲗᲘ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘᲡ ᲜᲐᲮᲜᲝᲛᲘᲡ ᲠᲓᲔᲕᲐᲖᲔ.

ᲛᲐᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲞᲬᲣᲠᲕᲘᲐᲠᲘ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘᲡ ᲜᲐᲮᲜᲝᲛᲘᲡ ᲠᲓᲔᲕᲐᲖᲔ ᲓᲐᲜᲐᲛᲔᲚᲘ ᲛᲐᲗᲘ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘᲡ ᲜᲐᲮᲜᲝᲛᲘᲡ ᲠᲓᲔᲕᲐᲖᲔ. ᲛᲐᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲞᲬᲣᲠᲕᲘᲐᲠᲘ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘᲡ ᲜᲐᲮᲜᲝᲛᲘᲡ ᲠᲓᲔᲕᲐᲖᲔ ᲓᲐᲜᲐᲛᲔᲚᲘ ᲛᲐᲗᲘ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘᲡ ᲜᲐᲮᲜᲝᲛᲘᲡ ᲠᲓᲔᲕᲐᲖᲔ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბავშვებო, ამჯერად ჩვენი კლუბის სტუმარია ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატი ვენორი ქვაჩახია. რა არის ხელოვნება, როგორია ხელოვნების როლი ადამიანის ცხოვრებაში? აი საკითხი, რაზედაც იგი გესაუბრებათ დღეს.

დიდი და კეთილი ძალა

ადამიანმა რომ იარსებოს, მას სჭირდება საჭმელი და სასმელი, ტანსაცმელი და ბინა. ყოველივე ამის შესაქმნელად იგი შრომობს, მაგრამ შრომისაგან თავისუფალ დროსაც უქმად არ კარგავს. ასეთ დროს ის იყენებს კულტურულად დასვენებისათვის; კითხულობს მხატვრულ ნაწარმოებს, მიდის კინოში ან თეატრში, უსმენს მუსიკას, ათვალიერებს სურათების გალერეას. ერთი სიტყვით, ის ეწაფება ხელოვნებას და ამით ერთობა, ხელოვნების ამა თუ იმ ნაწარმოებისაგან იღებს კმაყოფილებას, ტკბება ამ ნაწარმოებით; როგორც იტყვიან, ღებულობს ესთეტიკურ სიამოვნებას. მისთვის ხელოვნება ისეთივე აუცილებელი საზრდოა, როგორც საჭმელი, მაგრამ, საჭმლისაგან განსხვავებით, იგი ასაზრდოებს მის სულს, აკმაყოფილებს მის სულიერ მოთხოვნილებებს და არა ფიზიოლოგიურს.

შეცდომა იქნება ვიფიქრით, რომ ხელოვნება მარტო გართობაა, შრომისაგან, სერიოზული საქმიანობისაგან თავისუფალი დროის მოკვლაა. ხელოვნებას დაწაფებული ადამიანი მართლაც ისვენებს, სიამოვნებს, ერთობა; ამ პროცესში ადამიანის სული მდიდრდება, მასში ხელოვნება წარუშლელ კვალს ავლებს, ზრდის მას. ამის საჩვენებლად რამდენიმე ნიმუშიც იკმარებს.

ყველას წაუკითხავს დიდი ქართველი პედაგოგის იაკობ გოგებაშვილის ნაწარმოები—„იავნანამ რა ჰქმნა?“. აბა, დაუკვირდით რა ძალა ჰქონია სიმღერას, მუსიკას, რომელიც თითქოს გასართობი იყო და მეტი არაფერი. პატარა ქეთინოსთვის ლეკებთან ტყვედ ყოფნას წაუშლია მეხსიერებიდან ყველაზე საყვარელი ადამიანების — დედისა და მამის სახეც კი; მხოლოდ სიმღერას, მხოლოდ დედის ტკბილ „იავნანას“ გაუდგია მის პატარა გულში ისეთი ღრმა ფესვები, რომ მისი აღმოფხვრა შეუძლებელი ყოფილა. ასე გადაარჩინა სიმღერამ მშობლიური სახეები და ასე დაუბრუნა ქეთინო მშობლებს.

ერთ უცხოელ მწერალს აღწერილი აქვს ასეთი სურათი: სამუშაოდან გაგდებული ადამიანი ქუჩაში მიეხეტება. მას შია, სწყურია, სცივა, ფული არა აქვს, სამუშაო არა აქვს, არავითარი იმედი არ ჩანს და ეს უბედური ადამიანი სასოწარკვეთილებაშია ჩავარდნილი. ამ დროს მას მუსიკა ჩაესმა, მაგრამ პირველად არც კი მიაქცია ყურადღება; მერე ჰანგებმა თვითონვე იპოვეს გზა მისი გულისაკენ, ნელ-ნელა შეაღწიეს მის სულში; დამწუხრებულმა, დამშეულმა, გათოშილმა ადამიანმა რაღაც სითბო იგრძნო, რაღაც საკვები მიეცა მის გრძნობებს, სადღაც ისევ გაიღვიძა იმედმა, სადღაც აციმციმდა ხსნის ვარსკვლავი. ადამიანი გამხნევდა, ძალა მოიკრიბა სიდუხჭირის წინააღმდეგ...

ასეთი დიდი ძალით ზემოქმედებს ადამიანზე ხელოვნება; არა მარტო მუსიკა, არამედ პოეზია, ფერწერა, ქანდაკება, თეატრალური წარმოდგენა და სხვა. ამიტომ არის, რომ ადამიანები ასე დიდად აფასებენ ხელოვნებას. ბევრ შემთხვევაში ადამიანები ხელოვნების მომხიბლავ სამყაროს დაკარგვას თვით სიცოცხლის დაკარგვად მიიჩნევენ. ამან ათქმევინა ჩვენს დიდ პოეტს გალაკტიონ ტაბიძეს—„პოეზია უპირველეს ყოვლისაო“. გადმოგვცემენ, რომ დიდი გერმანელი პოეტი ჰაინე სიკვდილის წინ, სიცოცხლეს რომ უნდა გამოსალმებოდა, ხელოვნების უკვდავ ქმნილებას ვენერა მილოსელს გამოეთხოვაო. ავადმყოფობით დასუსტებულ, დაუძლურებულ პოეტს იმდენი მოუხერხებია, რომ პარიზის ქუჩებში გამოსულა და ლუვრის მუზეუმამდე მოუღწევია, აქ კი იგი ვენერა მილოსელის ქანდაკების წინ ცრემლმორეული დამხობილა. ერთ რუს მწერალს მოთხრობილი აქვს ადამიანის სულის როგორი გარდატეხა მოახდინა ამ ქანდაკებამ. ამ მოთხრობის მთავარი გმირი თავის თავზე ამბობს: „მე ვიდექი მის წინაშე, შევყურებდი მას და განუწყვეტლივ ვეკითხებოდი ჩემს თავს: რა ხდება ჩემში?.. ჩემში მოხდა რაღაც დიდი სიხარული... მე უცბად ვიგრძენი, რომ აქამდე მე, აი, ამ ხელში დაჭმუჭნულ ხელთათმანს ვგავდი. იგი ხომ არა გავს ადამიანის ხელს?—არა! იგი ტყავის რაღაც ნაგლეჯია. მასში რომ ჩაბერო, იგი ხელს დაემსგავსება... ასე ჩამბერა რაღაცამ, ასე გაავსო ჩემი მკერდი და მთელი ორგანიზმი სინათლით“. და ამ დაბეჩავებულმა ადამიანმა იგრძნო ადამიანური ძალა თავის თავში; წელში გაიმართა ხელოვნების, სილამაზის, მშვენიერების წყალობით.

ასეთი დიდი და კეთილი ძალაა ხელოვნება ადამიანისათვის. ის არის არა უბრალო თავშესაქცევარი, არამედ დიდი მეგობარი, დიდი თანამგზავრი, დიდი მასწავლებელი, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელიც ყველაზე მძიმე წუთებშიც არ ტოვებს მას, ვინც იგი მთელი გულით შეიყვარა. სიხარული, უდიდესი სიამოვნება, მხნეობა მოაქვს ხელოვნებას ადამიანისათვის და ჩვენი დიდი ხელოვანი, სახელგანთქმული რეჟისორი კოტე მარჯანიშვილი ამიტომაც ამბობდა: ხელოვნების დანიშნულებაა, მიანიჭოს ადამიანს სიხარული, შთაბეჭდოს მას მხნეობაო.

ამიტომ უყვართ ადამიანებს ხელოვნება. ამიტომ ჰქმნიან ისინი მხატვრულ ნაწარმოებებს—ხელოვნების ქმნილებებს. ამიტომ ცდილობენ ადამიანები მხატვრულად, სილამაზის კანონების მიხედვით მოაწყონ გარემო, რომელშიც ცხოვრობენ; ტანისამოსი, თვით თეფშიცა და ჭიქაც ამიტომ გვსურს ლამაზი და მიმზიდველი იყოს.

ცხადია, ამ მხრივ ყველა ერთნაირი როდია! ყველას ერთნაირი ძალით როდი უყვარს ხელოვნების სამყარო, სილამაზე. მშვენიერებას ყველა ერთნაირად როდი გრძნობს და განიცდის. ზოგიერთ ადამიანს მაღალი გემოვნება აქვს, ზოგიერთი კი უგემოვნოა. რატომაა ეს ასე? იმიტომ, რომ ზოგიერთი ადამიანი ნაკლებ ცდილობს განივითაროს გემოვნება.

დიდი რუსი კრიტიკოსი ბელინსკი წერდა: ხელოვნების, სილამაზის სრული, ჭეშმარიტი გაგებისათვის, მაშასადამე, ხელოვნებით, სილამაზით ნამდვილი, ჭეშმარიტი დატკბობისათვის აუცილებელია ადამიანისათვის ბუნებით მოცემული ესთეტიკური გრძნობა განვითარებულ და ამაღლებულ იქნას ესთეტიკურ გემოვნებამდე. ამას კი მხოლოდ ის მიაღწევს, ვინც ხელოვნებას მხოლოდ დროის სასიამოვნო ტარებად არ მიიჩნევს, სერიოზულად მოეკიდება მას, შეისწავლის, ვინც ამ მხრივაც ბეჯითია და შრომას არ შეუშინდება.

აი, რას წერდა „კომსომოლსკაია პრავდაში“ საკუთარი გემოვნების განვითარების შესახებ ერთი ახალგაზრდა (მოგვყავს ოდნავ შეცვლილი სახით): იყო დრო, როცა მე ხელოვნების, მაგალითად, კლასიკური მუსიკისა არაფერი გამეგებოდაო, ამბობს იგი. ვფიქრობდი, რომ სიმფონია, ოპერა, ბალეტი,—ეს მხოლოდ ხელოვნების მცოდნეების, სპეციალისტების საქმეა. მიკვირდა, რომ ზოგიერთი ჩემი ამხანაგი გატაცებული იყო ამგვარი ხელოვნებით. ამ თემაზე ამხანაგებს ხშირად მოგვდიოდა შეკამათება, ბევრს ვდაობდით; მე, მაგალითად, ვამტკიცებდი, რომ მსუბუქი მუსიკაა ნამდვილი ხელოვნება. დავინტერესდი—რატომ მოსწონთ ჩემს ამხანაგებს უფრო სერიოზული ნაწარმოებები? რატომ არიან აღტაცებულნი ისეთი მხატვრობით, რაც მე არ მომწონს, ისეთი მუსიკით, რაც მე მოსაწყენად მეჩვენება? დავიწყე მათი მოსმენა, დათვალიერება... დიდი მოთმინება დამჭირდა, მაგრამ თანდათანობით ვატყობდი, რომ ჩემი გემოვნება იცვლებოდა; ბოლოს კი ეს ხელოვნება ისევე შემიყვარდა, როგორც ჩემს ამხანაგებს უყვარდათ იგი. ახლა მე ამ დიდი ხელოვნების ფარეშე ჩემი არსებობა ვერც წარმომიდგენია, მის გარეშე მე მოწყენა მიპყრობს და ვცდილობ ჩქარა ისევ შევხვდე ამ ჩემს მეგობრებს—ხელოვნების ქმნილებებს, რომლებსაც სიხარული და აღტაცება მოაქვთ ჩემთვის...

რა აძლევს ასეთ დიდ ძალას ხელოვნებას? რა არის იგი? როგორ იქმნება ხელოვნების ნაწარმოებები? რა არის სილამაზე? მშვენიერება და როგორ გვაძლევს მშვენიერებას ხელოვნება?

ამ და ბევრ ამის მსგავს კითხვაზე პასუხს იძლევა მეცნიერების ის დარგი, რომელსაც ესთეტიკა ეწოდება. ხელოვნების ძალა ის არის, რომ იგი გვაძლევს ცხოვრებისეულ სიმართლეს, როგორც იტყვიან, ასახავს ჩვენს ცხოვრებას. ლექსსა და პროზაში, მუსიკაში, მხატვრობასა და ქანდაკებაში, თეატრალურ წარმოდგენასა და კინოფილმებში, ერთი სიტყვით, ხელოვნების ნაწარმოებებში, მხატვრულ სახეებში გამოხატულია სინამდვილე და იგი ამის გამო უდიდეს ზემოქმედებას ახდენს ადამიანის სულიერ სამყაროზე, ზრდის ადამიანს, უვითარებს გემოვნებას, მსოფლმხედველობას, სიმართლისათვის საბრძოლველად განაწყობს მას.

აი, ამიტომ არის ხელოვნება დიდი სიამოვნების წყაროცა და უკეთესი მომავლისათვის ბრძოლის შესანიშნავი იარაღიც.

ბავშვებო, გაიხსენეთ თუ გქონიათ შემთხვევები, როცა ხელოვნების რომელიმე ნაწარმოებს განსაკუთრებული გავლენა მოუხდენია თქვენზე, აუღელვებიხართ, გაუხარებიხართ ან დაუღონებიხართ.

ხელოვნების რა დარგი უფრო მოგწონთ, გიტაცებთ და რატომ. მოგვწერეთ ამის შესახებ.



ანტიკური ეპოქის ხელოვნებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ვენერა (აფროდიტე) მოლოსელის ქანდაკებას, რომელიც ნაპოვნი იქნა კუნძულ მილოსზე. ავტორი ქანდაკებისა არის ალექსანდრი (აგესანდრი) ვარაუდობენ, რომ იგი ჩვენს წელთაღრიცხვამდე III-II საუკ. ცხოვრობდა. ქანდაკება ამჟამად ინახება პარიზში, ლუვრის მუზეუმში.

პოეტური სიტყვის ულვაშები

მ. ლერმონტოვის დაბადების
150 წლისთავის გამო

შირაქისაკენ მიმავალ გზაზე, თავწყაროს ბექობს რომ გასცდებით და დაბა წითელწყაროში შეხვალთ, დასაწყისშივე, ხელმარცხნივ, მწვანეში ჩაფლული ერთი ძველებური სახლი გამოჩნდება. უბრალო სახლია, შეუხედავი, მაინცდამაინც არ ბრწყინავს თავისი არქიტექტურული ნაგებობით, მაგრამ გულგრილად ნუ ჩაუვლით გვერდს, — მის ჭერქვეშ ოდესღაც ორიოდე ღამე გაუთევია საქართველოში სტუმრად ჩამოსულ ალექსანდრე პუშკინს. ეს სახლი მაშინ პოლკოვნიკ ნეჩვოლოდოვს ეკუთვნოდა. ამ ხუთიოდე წლის წინათ მასში მტს-ის კანცელარია იყო მოთავსებული, ეზოში კი სახელოსნოები იყო გამართული. წითელწყაროელი მოსწავლეები ხშირად მოდიოდნენ აქ და პუშკინის ლექსებს უკითხავდნენ ტრაქტორისტებს, ზეინკლებსა და ხარატებს, რომელნიც მანქანების რემონტით იყვნენ გართულნი. წითელწყაროელები ოცნებობდნენ ამ სახლში მხარეთმცოდნეობის მუზეუმის გახსნაზე. კარგა ხანია იქით აღარ ვყოფილვარ და არ ვიცი, გაკეთეს თუ არა ეს საქმე, ის კი მახსოვს, რომ ისე მოკრძალებით მოდიოდნენ მოსწავლეები, თითქოს დიდ პოეტს ბინაზე ესტუმრნენო, თითქოს საცაა გაიღება ფანჯარა, თვითონ პუშკინი გადმოიხედავს და მიესალმება ამ ახალ თაობას, რომელსაც ის შორიდან შესტრფოდა და შეჰხაროდა.

საქართველოდან წასვლის შემდეგ პუშკინს დიდხანს აღარ უცოცხლია. 1837 წელს დანტესის მუხთალმა ტყვიამ ის წუთისოფელს გამოასალმა. ოცდასამი წლის ჭაბუკმა ლერმონტოვმა თავის ლექსში „პოეტის სიკვდილი“ მკვლელები საჯაროდ დასწყევლა და შეაჩვენა; მან პირდაპირ და მოურიდებლად ჩამოჰგლიჯა ნიღაბი რუსეთის არისტოკრატიას — მეფის ლაქიებს და თვით იმპერატორს, რომელმაც წააქეზა პოეტის მკვლელი.

ამჯერად უკვე ლერმონტოვს განურისხდნენ ნიკოლოზ პირველის მინისტრები და პოეტი პეტერბურგიდან საქართველოში გადმოასახლეს.

და განა საოცარი არ არის, რომ სამშობლოდან განდევნილი ლერმონტოვი სწორედ აქ მოხვდა, წითელწყაროში (მაშინ მას დედოფლის წყარო ერქვა), ბედმა თითქოს აქაც კი პუშკინის ნაკვალევზე წამოიყვანა!

ლერმონტოვი აქ ჩამოვიდა იმიტომ, რომ მაშინ დედოფლის წყაროში დაბანაკებული იყო ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკი. ის ამ პოლკში გამოიმწესეს ოფიცრად.

მაგრამ ჩვენ არ ვიცით სად, რომელ სახლში ცხოვრობდა ლერმონტოვი.

მაგრამ ის კი კარგად ვიცით, თუ რა გატაცებით ჰყვარებია ლერმონტოვს აქაური მიდამოები, ეს აქოჩრილი ტყეები და ცადაწვდილი ხორნაბუჯი, ძველთაძველი ციხე-ქალაქი, საუკუნეთა მანძილზე მკერდით რომ ეგებებოდა ალაზნის ველით საქართველოში შემოჭრილ მტრის ურდოებს.

საქართველომ პოეტზე ულრმესი შთაბეჭდილება მოახდინა. ლერმონტოვი ამას თვითონაც აღიარებდა. სვიატოსლავ რაევსკისადმი მიწერილ წერილში იგი ამბობდა: „არასოდეს ვყოფილვარ ასე ჯანსაღი; ეს იმიტომ, რომ სამაგალითო ცხოვრებას ვეწევი... კარგი ახალგაზრდა აქ ბევრია, მეტადრე თბილისში არიან ძალიან რიგიანი ადამიანები... როგორც კი მთები გადავლახე და საქართველოში აღმოვჩნდი, ეტლზე უარი ვთქვი და ცხენით ვიწყე მოგზაურობა: ავფოფხდი თოვლიან ჯვრის მთაზე, სულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთლად მაღლა; ეს არც ისე ადვილია. იქიდან ნახევარი საქართველო ისე ჩანს, როგორც ხელისგულზე. არ ძალმიძს აგიხსნა, ან აგიწერო ეს გასაოცარი გრძნობა... ეშმაკსაც წაუღია მოწყენილობა, გული ფეთქავს, მთელი მკერდით ვსუნთქავ, — არაფერი მსურს ასეთ წუთს; ასე ვიჯდებოდი და მთელ სიცოცხლეს ამ გარემოს დათვალიერებაში გავატარებდი“.

ეს განწყობილება ნათლად ჩანს ლერმონტოვის მხატვრულ ქმნილებებში. ვინ მოსთვლის, რამდენჯერ ააღებინა ლერმონტოვს ხელში კალამი საქართველოს სილამაზემ.

სავსებით მართალი იყო ბელინსკი, როცა ამბობდა: „საოცარია! კავკასიას თითქოს წილად ხვდა ყოფილიყო ჩვენი პოეტური ტალანტების აკვანი, მათი მუზების შთამაგონებელი და გამომწვრთნელი, მათი პოეტური სამშობლო“.

ლერმონტოვის შესანიშნავი ლექსები და პოემები — ბელინსკის ამ სიტყვების ბრწყინვალე ილუსტრაციაა. ბნელმა თვითმპყრობელურმა რეჟიმმა, მეფის კარის ქვემძრომთა და მლიქვნელთა წრემ მას სიცოცხლე გაუმწარა, გული დარდით აუვსო, სული მოუწამლა, და ამ დიდი სულიერი ტკივილების მალამო პოეტმა თერგისა და არაგვის ნაპირებზე იპოვნა; მის სულს თავისუფლება სწყუროდა და აქ დაინახა ადამიანები, რომლებიც ამ თავისუფლებისათვის სიცოცხლესა სწირავდნენ, უდრტვინველად და ამაყად კვდებოდნენ ბრძოლის ველზე, ვინაიდან ამ მთებივით ამაყნი იყვნენ და მონობის უღელს სიკვდილი ერჩიათ. ამ ადამიანებს ლერმონტოვმა არაერთი ნაწარმოები მიუძღვნა, მათ შორის, პოემა „მწირი“, რომელიც მცხეთისა და არაგვის მიდამოების აღწერით იწყება.

ამ პოემაში განსაკუთრებით ერთი ეპიზოდი იპყრობს მკითხველის ყურადღებას — ესაა სამკვდრო-სასიცოცხლო შებმა ვეფხვისა და მოყმისა. არაგვის ატეხილ ჭალებში მონასტრიდან გამოქცეულ მწირს ვეფხვი შემოეყრება. ისინი შეებრძოლებიან ერთი-მეორეს.

დაჭრილი ვეფხვიც ადამიანის შვილივით კვნესის და კვდება, როგორც მამაც ვაჟკაცს შეჰფერის.

საიდან მოდის ეს მოტივი? რამ მისცა სტიმული პოეტის შთაგონებას, როცა ვეფხვისა და მოყმის შებრძოლებას ხატავდა? ცხადია, ლერმონტოვი იცნობდა ძველ ქართულ ხალხურ ბალადას ვეფხვსა და მოყმეზე, რომელიც თავის მხრივ რუსთაველის გენიალური პოემით იყო შთაგონებული. გაიხსენეთ ეპიზოდი „ვეფხისტყაოსნიდან“, სადაც ტარიელი ავთანდილს მოუთხრობს ვეფხვთან შებრძოლების ამბავს. ბელინსკი ამბობდა, საქართველო ლერმონტოვის პოეტური სამშობლო იყოო. ხოლო საქართველო მარტო არაგვის ზვირთები კი არ არის, რომელთა მჩქეფარე რიტმი თავის ლექსებში ჩააქსოვა ლერმონტოვმა, საქართველო მარტო დარიალი კი არ არის; საქართველო — ეს არის ბალადა ვეფხვისა და მოყმისა, საქართველო — ეს არის „ვეფხისტყაოსანი“; აქ ჩვენი ხალხის სულიერი სამყაროა გადაშლილი, მათშია ყველაზე უფრო წმინდა და ძვირფასი რამ, რაც ჩვენ გაგვაჩნია.

მაგრამ მარტო „მწირის“ სტრიქონებში როდი გამოჩნდა საქართველო! გაჰყვებით დარიალის ხეობას საქართველოს სამხედრო გზაზე და აქ მთებიც ლერმონტოვის ლექსებივით დგანან, ვინაიდან ისინი სამუდამოდ აღბეჭდილნი არიან პოეტის ქმნილებებში. მარტო მთები კი კი არა, პოეტის ლექსებში ცოცხლდებიან იმ დროის ადამიანები, ვხედავთ იმ დროის თბილისს; ვკითხულობთ პოეტის ლექსებსა და მოთხრობებს, და მასთან ერთად ვმოგზაურობთ ჩვენს სამშობლოში. ყველაფერი ეს იმაზე მიგვითითებს — რაოდენ ახლოა, რაოდენ განუშორებელია ჩვენგან ეს გენიალური პოეტი, რომელსაც ესოდენ ძლიერი სიყვარულით უყვარდა საქართველო.

და საქართველოსაც მუდამ უღრმესი სიყვარულით უპასუხნია პოეტისათვის. ილია ჭავჭავაძე ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში, 1859 წელს თარგმნის ლერმონტოვის „მწირს“; ამას გარდა, შემდგომში მან თარგმნა „წინასწარმეტყველი“, „ჰაჯი-აბრეკი“, „სიზმარი“, „ციცაბო კლდე“. ვაჟა-ფშაველამ მთლიანად თარგმნა „დემონი“, რომელსაც ქართულად „ქაჯი“ უწოდა. ჩვენ აქ ვერ ჩამოვთვლით ყველა თარგმანს ლერმონტოვიდან, რომლებიც ჩვენს კლასიკოსებს ესოდენ დიდი სიყვარულით შეუსრულებიათ; აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ლერმონტოვის ნაწარმოებთა თარგმნამ ჩვენს ეროში მეტად ფართო გაქანება ჰპოვა. საუკეთესო ქართველმა საბჭოთა პოეტებმა ენერგია არ დაიშურეს, რათა დიდი რუსი პოეტის ქმნილებანი მთელი ხმით აჟღერებულიყო ქართულ ენაზე.

* * *

ჭეშმარიტად დიდი პოეტის პირველი განმასხვავებელი ნიშანი ის არის, რომ მისი ნაწარმოებნი ინარჩუნებენ მუდმივ სიცოცხლეს, არასოდეს არ ბერდებიან და მათს სტრიქონებში მუდამ ანთია ის ცეცხლი, რომელიც გზას უნათებს ადამიანებს, წინ ეძახის, ამხნევებს და სიძნელეთა გადალახვას უადვილებს.

ლერმონტოვის მთელი ხანმოკლე სიცოცხლე — გაუთავებელი ბრძოლა იყო. 1830 წელს, სტუდენტობის დროს, იგი წერს პოემას „თავისუფლების უკანასკნელი შვილი“, რომელშიაც ნათლად ისმის გამოძახილი დეკაბრისტთა რევოლუციური იდეებისა. ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მთელი მისი შემოქმედებისათვის. ვ. ი. ლენინი აღნიშნავს, რომ რუსეთის რევოლუციურ მოძრაობას მე-19 საუკუნის დასაწყისში სათავეში სწორედ დეკაბრისტები ედგნენ, „მათ საქმეს ამაოდ არ ჩა-

ᲥᲐᲯᲕᲔᲠᲘ

მ. ᲚᲔᲠᲛᲝᲜᲢᲝᲕᲘ

1.

ერთ უღრან ტყეში,
სადაც ბილიკს ბალახი ფარავს
(შენც იცი, ჩემო მეგობარო, ადგილი
იგი),
საღამოობით აიშლება
ნისლების ფარა
და ვერცხლისფერი მთვარის შუქი
ლივლივებს ირგვლივ.

ამ ქვეყნად როცა ჩემი ბედის
ვარსკვლავი ჩაქრეს —
მე იქ დამმარხე, — გამიკეთე ეს
ერთი საქმე!

2.

საფლავი მორთე,
ვით წესი და ადათი არი,
ვით ჩვენს წინაპრებს სჩვევიათ ოდით:
თავთან აღმართე ნეკერჩხლის ჯვარი,
გულზე დამადე უბრალო ლოდი.

ტყის თავზე მეხი
ყრუ გუგუნით გადაიგრგვინებს
და უღრან ტყეში გააელვებს
ცეცხლოვან ენებს, —
ჯვარს ელვის შუქზე
დაინახავს გამვლელი ვინმე,
საფლავის ქვაზე ჩამოჯდება
და... დაისვენებს.

თარგმნა გ. ძნელაძემ

უვლია. დეკაბრისტებმა გამოაღვიძეს გერცენი. გერცენმა გააჩაღა რევოლუციური აგიტაცია“. ლერმონტოვი გერცენთან და ბელინსკისთან ერთად სწავლობდა მოსკოვის უნივერსიტეტში და გასაგებია, რომ ისინი ერთნაირად იყვნენ გამსჭვალული თავისუფლების იდეებით. დეკაბრისტების ბრძოლამ გზა უჩვენა მთელ თაობებს და მათ შორის ლერმონტოვსაც; და აი, პოეტი სიჭაბუკის წლებშივე იწყებს შეურიგებელ ბრძოლას ბატონყმური წყობილებისა და საერთოდ იმ დესპოტიზმისა და უსამართლობის წინააღმდეგ, რომელიც დამკვიდრებული იყო მთელ იმპერიაში. ამ ბრძოლის სულისკვეთებითაა აღსავსე ლერმონტოვის პირველივე ლექსები — „წინასწარ მეტყველება“, „კავკასიას“, „ნოვგოროდი“.

უნივერსიტეტის შემდეგ ლერმონტოვი იუნკერთა სკოლაში შედის, სადაც გვარდიის ოფიცრებს ამზადებდნენ; 1834 წელს, ოცი წლის ჭაბუკი ამთავრებს სამხედრო სასწავლებელს და სამსახურს იწყებს ჰუსართა პოლკში, რომელიც პეტერბურგის მახლობლად, ცარსკოე სელოში იყო დაბანაკებული. სწორედ ამ პოლკში ყოფნის დროს შეიტყო ლერმონტოვმა თავზარდამცემი ამბავი პუშკინის სიკვდილზე. ზემოთ ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ამ ამბავს იგი შესანიშნავი ლექსით გამოეხმაურა. გერცენი წერდა: „რევოლვერის გასროლამ, რომელმაც მოჰკლა პუშკინი, საბრძოლველად აამხედრა ლერმონტოვი“; და მართლაც, მისი ლექსი მთელ რუსეთს მოედო. თანამედროვეთა მოწმობით, მანამდე არავის არ ახსოვდა, რომ ლექსს ასეთი ძლიერი შთაბეჭდილება მოეხდინოს. სწორედ ეს ლექსი გახდა მიზეზი ლერმონტოვის საქართველოში გადმოსახლებისა.

მომდევნო წლებში პოეტი განაგრძობს დაუცხრომელ შემოქმედებითს მუშაობას, წერს თავის პოემას „დემონს“, „სიმღერას ვაჭარ კალაშნიკოვზე“, რომანს „ჩვენი დროის გმირს“, შესანიშნავ ლირიკულ ლექსებს. ამ ლექსებში გამოიხატა რუსი ხალხის სულიერი სამყარო, მისი მისწრაფებანი. მალე ლერმონტოვი კვლავ ბრუნდება პეტერბურგში; თვითმპყრობელური რეჟიმის მოხელენი თვალს ადევნებენ მის ყოველ ნაბიჯს; სულ მალე მას ისევ კავკასიაში, პიატიგორსკში ვხედავთ, სადაც 1841 წლის 15 ივლისს შედგა მისი საბედისწერო დუელი მარტინოვთან. თითმპყრობელობამ მარტინოვის ხელით მხეცურად გაუსწორა ანგარიში დიდ პოეტს.

ლერმონტოვის პოეზია გამსჭვალულია უღრმესი პატრიოტიზმის და მაღალი ჰუმანიზმის კეთილშობილური იდეებით. პოეტმა განუზომლად დიდი ზეგავლენა მოახდინა მომდევნო თაობებზე, მან ახალ საფეხურზე აიყვანა რუსული პოეზია და პროზა და, ამავე დროს, მხატვრული ლიტერატურა აქცია ბრძოლის ასპარეზად, განმათავისუფლებელი იდეების ქადაგების უმძლავრეს იარაღად.

ლერმონტოვის შემოქმედება — რუსული ლიტერატურის ისტორიის მშვენება და სიამაყეა; ის ზრდიდა და კვლავაც გაზრდის მკითხველთა მთელ თაობებს სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულისა და თავდადების სულისკვეთებით.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲜᲐᲢᲠᲝᲨᲕᲘᲚᲘ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ედმუნდ ნიზიურსკი

ნახატები ბ. ბალკასი

თავგადასავალი

სისხლში ამოსვრილი რვეული.
მთავარი საიდუმლო ადგილი.
ადამიანები, რომელთაც ხელში ბარდის
წვენით სავსე ჯამები უჭირავთ.
თეოფილ გოცმანი.
ვერაკოკო.

მიწისქვეშა ფართო დერეფანში ფრთხილად მიიწევდა წინ ოთხი ბიჭი. მათ შორის ყველაზე მაღალი—ნუდისი, იძულებული იყო წამდაუწუმ დახრილიყო, რომ თავი არ ერტყა აგურებით ნაშენი გოთური თაღებისათვის. დერეფანში სისუფთავე იყო. კედლებზე ელექტრო-მავთულები გადიოდა.

— ნახეთ, აქ ელექტროგაყვანილობაც კი არის!

— უთუოდ უნდა იყოს ელექტროგაყვანილობა, — თქვა თეოდორმა — თორემ ჰაერი მალ-მალ გამოელევათ. — აქ ალბათ ელექტრო-ვენტილატორებიც დგას. ხომ გრძნობთ, როგორ იძვრის ჰაერი?

ბავშვები მართლაც გრძნობდნენ სახეზე გრილი ნიავის ლამუნს.

გოთურმა დერეფანმა ბავშვები მიიყვანა სხვა შესასვლელთან, რომელიც პირველსა კვეთდა. მეორე შესასვლელი ერთი მეტრით განიერი იყო პირველზე, ჭერი თანდათან გადადიოდა გუმბათისებურ თაღში.

თეოდორი ფარნით ანათებდა შესასვლელს და თან ყურადღებით ათვალიერებდა ყველაფერს.

— ეს სულ სხვა სტილითაა ნაგები, — თქვა თეოდორმა, — ეტყობა, უფრო გვიან აუშენებიათ.

— განა დერეფნებს რაიმე სტილი აქვთ? — გაიცინა პიკოლიმ.

— ყველაფერს აქვს თავისი სტილი, — წაიდუდღუნა თეოდორმა, თან ყურადღებით ათვალიერებდა კედლის გასწვრივ ჩაყრილ მილებს. — საინტერესოა, — შენიშნა მან, — აქ წყალსადენი უნდა იყოს...

—იქნებ, ორთქლის მილებია, — თქვა ნუდისმა, — გრძნობ, აქ როგორ თბილა?

—უყურეთ, ნამდვილი კალორიფერი! — დაიყვირა კუსიბაბამ და დერეფნის სიღრმეში შევარდა.

ბავშვებმა დაათვალიერეს დერეფანი და დარწმუნდნენ, რომ მართლა თბილოდა.

— არამზადები! მათ აქ ყველაფერი მოუწყვიათ, — თქვა თეოდორმა. — შეხეთ, როგორ გაუთვითრებიათ! — აქ უფრო სისუფთავეა, ვიდრე მარშალკოვსკიზე.

— იქით წავიდეთ! — შესთავაზა ნუდისმა. — დახედეთ, — ქვიშაზე ნაფეხურები ატყვია. ისინი ალბათ აქ არიან.

— ეს ერთი კაცის ნაკვალევია, — თქვა თეოდორმა. — ისინი კი სამნი იყვნენ.

— არა მგონია! ნამდვილად ჩანს, რომ ნაკვალევი სხვადასხვაა.

— ერთი შეხედვით ასე ჩანს. ეს კოჭლი კაცის ნაკვალევია; მარჯვენა ფეხის ნაკვალევი მკვეთრადაა აღბეჭდილი, მარცხენა ფეხს, ეტყობა, მხოლოდ ჭუსლით ადგამდა. ესე იგი, ეს ერთი ადამიანის ნაკვალევია, ისინი კი სამნი იყვნენ, — გაიმეორა მან.

ბიჭები დაბრუნდნენ და ისევ პირველი დერეფნით განაგრძეს გზა. მაგრამ ათი ნაბიჯიც არ ექნებოდათ გა-

---

გაგრძელება. იხ. „პიონერი“ № 1—9.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგმული, რომ თეოდორმა ნიშანი მისცა: შეჩერდითო.

— ნახეთ რა დევს აქ, კედელთან.

— ქაღალდებია!

— ალბათ, დოკუმენტებია, — წაიჩურჩულა პიკოლომ.

— არა... რვეულია, — თქვა ნუდისმა, ფეხით არის გათელილი, დაჭმუჭნული და დასვრილია, მაგრამ ეს რვეულია, ჩვეულებრივი სასკოლო რვეული პოლონური ენისათვის.

— მაჩვენე, — პიკოლომ რვეული გამოსტაცა, ცნობისმოყვარეობით დააკვირდა... და უეცრად შეცბა.

— ღმერთო ჩემო, — წაჩურჩულა მან, — სისხლი... სისხლიანი ფურცლები ერთმანეთს მიჰკვრია.

— იქნებ ეს მარეკის რვეულია? — თქვა ნუდისმა.

— ჰო, ალბათ, მარეკისაა. აბა, აქ საიდან გაჩნდა სასკოლო რვეული, — ამოიოხრა პიკოლომ.

— სისულელეა, — შეაწყვეტინა თეოდორმა. — მარეკს თან არა ჰქონდა რვეულები, იგი ხომ ველოსიპედით მიდიოდა.

— ყდაზე რაღაც გვარია წარწერილი, — თქვა ნუდისმა, — ოღონდ, ვერ ვარჩევ — რა წერია... ერთი, ფარანი მომინათეთ.

ორმა ფარანმა გაანათა რვეული.

— ჟ... ეჟი... ტ... ტრუპიკ, — ძლივს ამოიკითხა ნუდისმა.

— რომელი ტრუპიკი,—მოიღუშა თეოდორი, — არასოდეს ასეთი გვარი არ გამიგონია. აქ მომეცი რვეული. ტრუპისი, და არა ტრუპიკი — თქვა მან. — ეჟი ტრუპისი, მეხუთეკლასელი.

თეოდორი დაკვირვებით ათვალიერებდა დასისხლიანებულ ფურცლებს.

— ხელწერა მეცნობა... საიდან მეცნობა? — თავისთვის იმეორებდა თეოდორი.

— თეოდორ, თეოდორ, ნახე! — დაიყვირა უეცრად პიკოლომ.

— ნუ ყვირი, თორემ შავ დღეს დაგვაყრიან, — შეაწყვეტინა თეოდორმა. — ისე იქცევით, თითქოს შესვენებაზე იყოთ სკოლაში. რა მოხდა, რა დაგემართათ?

— ნახე, პატარა ტყვია. ნამდვილი ტყვიაა... ნახე, რა ვიპოვე. — პიკოლოს ხელისგულზე უბრწყინავდა პატარა ვაზნა.

— რევოლვერისაა, — თქვა პიკოლომ და ვაზნა თეოდორს გადასცა!

— არა, უფრო პისტოლეტისაა, შვიდყალიბიანი, — თქვა თეოდორმა — სად იპოვნე?

— იქ, დერეფანში.

— აქ საიდან გაჩნდა?

— ალბათ, იმ სამთაგან რომელიმეს დაუვარდა.

— დაუვარდა? — თავი გაიქნია სტას კუსიბაბამ, — უმიზეზოდ?

— შეიძლება ჯიბიდან გადმოუვარდა.

სტას კუსიბაბა ჩუმად ათვალიერებდა მიწასა და კედლებს.

— ღმერთო ჩემო, — მოულოდნელად წაიოიყვირა მან, — ნახეთ — სისხლი!

პიკოლო და ნუდისი მისცვივდნენ, — ყვითელ ქვიშაზე, კედელთან, წითელი ლაქები ჩანდა.

— მაგრამ... რას ნიშნავს ეს სისხლი? — წაიდუდუნა პიკოლომ. — ვინმეს ხომ არ ესროლეს?

— არა მგონია, — თქვა თეოდორმა. — მასრა არსად არა ჩანს. ჩემი აზრით, არამზადებმა ერთმანეთს ცხვირპირი ჩაუმტვრიეს. ერთი მათგანი ხომ კოჭლია. სწორედ ის კოჭლი გაიქცა იმ განიერი დერეფნით, სადაც ჩვენ ნაკვალევი ვნახეთ. ჩხუბის დროს მან დაკარგა თავისი შვილის რვეული, ჯიბიდან კი ვაზნა ამოუვარდა. ეს არის და ეს.

— რად უნდოდა ეს რვეული, თან რატომ ჰქონდა? — იკითხა ნუდისმა.

— ეს, ალბათ, მისი შვილის რვეულია, ქურდებსაც ხომ ჰყავთ ბავშვები, — თქვა კუსიბაბამ.

— კეთილი, მაგრამ რად უნდოდა, აქ რომ მოიტანა? — არ ცხრებოდა ნუდისი.

ამ კითხვაზე ვერავინ ვერ უპასუხა.

— შეწყვიტეთ კამათი! — თქვა თეოდორმა. — წავიდეთ.

— გაიარეს რამდენიმე ვიწრო, დაბალი გასასვლელი. ხუთი მათგანი ბნელი იყო, მხოლოდ ერთში ანათებდა შუქი, სიღრმიდან ელექტრო-მოტორის სუსტი გუგუნი მოისმოდა.

— ახლა ყოველ წამს მოსალოდნელია ბანდიტებთან შეხვედრა, — ჩურჩულით თქვა თეოდორმა.

წელში მოხრილები, დაწალიკებულნი, ჩქარი ნაბიჯით მიიწევდნენ წინ. სინათლე სულ უფრო და უფრო ახლოვდებოდა; უეცრად, ბავშვების ცხვირწინ ფოლადის ღობე-წნული წამოიმართა, თეოდორმა მას ხელი ჰკრა, მაგრამ კარი არც შერხეულა.

— დაკეტილია, — წაილუღლუღა მან. — ეს რკინის წნული კარია, ასეთი კარები ციხეში და განძთსაცავებშია ხოლმე.

დერეფანი გადიოდა ვრცელ, დაახლოებით, ოცდაათმეტრიან ნაგებობაში. შუა ჭერი გაბურღული იყო და ზედ კაშკაშა ელექტრო-ნათურა ეკიდა. კედელთან იდგა მაცივრის მსგავსი სამი თეთრი ყუთი. მათ ახლოს დიდ, ლითონით მოპირკეთებულ მაგიდებზე რაღაცა ყვითლად ბრწყინავდა. მოპირდაპირე კედელთან ჩამწკრივებულ პატარა კარადებს უცნაური საკეტები ჰქონდა, კუთხეში მიჯრით იდგა ხუთი ცეცხლგამძლე ყუთი. მწვანეზოლიან ლეიბზე იწვა სპორტულტანსაცმლიანი, შავწვერმოშვებული კაცი. პირდაღებულს ეძინა და ამაზრზენად ხვრინავდა. იქვე მიყუჩებულიყო მსუქანი, წვერმოშვებული, ყბაახვეული მეორე კაცი.

— ეს ის მსუქანი წვეროსანია, რომელიც ჩვენ ვნახეთ კედელთან, ბუჩქნარებში, — აღელდა ნუდისი, — ალბათ ამ კაცს სცემეს იქ, დერეფანში.

თეოდორმა თავი დაიქნია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ნახეთ, რამდენი მაცივარია?! — გაიკვირვა პიკოლომ.

— ეს მაცივრები კი არა, ელექტროლუმელებია.

— აქ, ალბათ, მიწისქვეშა სამლოცველოა.

— სამლოცველო?! — გაიკვირვა სტას კუსიბაბამ.

— ბანდიტების სამლოცველო, — იდუმალი ხმით წაიჩურჩულა პიკოლომ და ზღარბივით შეკრეჭილი თმა მთლად ყალყზე დაუდგა.

— ერთი, შენც იტყვი ხოლმე!

— აი, რომელიღაც წმიდანის ფიგურა! მთლად ვერცხლისგანაა ჩამოსხმული. გვერდით კი სხვადასხვა ზომის ოქროსი და ვერცხლის გულები, ვარსკვლავები... აი, რა ჰქვია...

— სხვადასხვა განძეულობა.

— ჰო, განძეულობა. აი, ოქროს ჯვარი, საგანძე და ფიალები. უჰ... რამდენი ფიალაა, სულ ვერცხლისა და ოქროსი. ამ საგანძურზე, ალბათ, ძვირფასი ქვებია. ნახეთ, როგორ ბრწყინავს! განსაკუთრებით, აი ის, მაღლა რომაა. ეს, ალბათ, ნამდვილი ბრილიანტია.

მაგრამ სტას კუსიბაბა აღარ უსმენდა. იგი იყურებოდა იქითკენ, საითაც ნუდისი მიუთითებდა.

— ნახე, ნახე, მეთაურო, — თქვა სტასმა, — რამდენი ოქროსსამაჯურიანი საათია, აი, იმ მაგიდაზე!

თეოდორმა ჭოგრიტი თვალებთან მიიდო და ყურადღებით დააკვირდა მაგიდაზე დაყრილ ნივთებს.

— როგორ ფიქრობთ, სად ვიმყოფებით? — ხმადაბლა იკითხა მან.

ბავშვები მოუთმენლად შეჰყურებდნენ თეოდორს.

— ჩვენ ვიმყოფებით ყველაზე ცნობილი ქურდების საიდუმლო თავშესაფარში. დიდი ხანია გაგონილი მაქვს, რომ ასეთი საიდუმლო თავშესაფარი სადღაც უნდა ყოფილიყო, მაგრამ არასოდეს არ მეგონა, რომ მას ჩემი თვალით ვნახავდი, — ჩურჩულით ამბობდა თეოდორი.

— აი, იმ კარადაში, ალბათ, სხვადასხვა მჟავებია მოთავსებული, ლითონის მინარევებისაგან ოქროს გასაწმენდად. —რატომ ადნობენ განძს? —ჩურჩულით თქვა პიკოლომ. — არ ენანებათ? ეს ლამაზი საგანძე, ვინ იცის, რამდენი ხნისაა, ან — მეფეებისა და თავადების ბეჭდები...

— ქურდებს ეს სულაც არ აწუხებთ: რაც უფრო ძვირფასი და ძველებურია ნივთი, მით უფრო ძნელია მისი გაყიდვა. ამიტომ ადნობენ ისინი ამ ნივთებს, ანდა ისე უცვლიან სახეს, რომ ვერავინ ვერ იცნოს.

წითელტანსაცმლიანმა კაცმა უეცრად დაიღრიალა. თეოდორი გაჩუმდა.

ბავშვებმა სული განაბეს. სპორტულტანსაცმლიანმა კაცმა ხმამაღლა ხვრინვა ამოუშვა. ამასობაში თეოდორმა ფოტოაპარატი დააჩხაკუნა და თქვა:

— ძალიან დიდ ხანს დავყავით აქ. კვასი, ალბათ, სხვაგან ჰყავთ დამწყვდეული. დანარჩენი დერეფნები უნდა დავზვეროთ.

ბავშვები ფრთხილად გამოვიდნენ დერეფნიდან და ისევ ძველ ადგილას დაბრუნდნენ. მათ ფეხის ხმა და დახშული ლაპარაკი გაიგონეს. თეოდორმა ნიშანი მისცა ბიჭებს. ისინი უახლოესი შესასვლელის სიღრმეში დაიმალნენ.

მეხუთე შესასვლელიდან გამოვიდა ათლეტური აგებულების, ტყავისქურთუკიანი კაცი. პიკოლომ მუჯლუგუნი წაჰკრა ნუდისს. ნუდისმა თავი დაუქნია. ეს სწორედ ის ტიპი იყო, ეკლესიასთან რომ დაინახეს. იგი ხვნეშით მიდიოდა, მუცელგაბერილს ქოთანი ეჭირა ხელში. უკან პატარა, გამხდარი კაცუნა მიჰყვებოდა.

— ნუ ნერვიულობ, ბოცმან, — იმეორებდა კაცუნა და ცდილობდა ტყავისქურთუკიან ახმახს დასწეოდა. — გემუდარები, ნუ ნერვიულობ, შე კუტკალია!

— აბა, როგორ არ გაბრაზდები! — მე მეგონა იმიტომ გამომიძახეს, რომ ვენჩესლავ უჩინარს გავსწორებოდი, მაგრამ იმ ოტროველა ანტოსმა არაფერი არ მითხრა, ქვევით რომ ჩამოვედი, წუწუნი დაიწყო: შეცდომა მოგვივიდა, ვენჩესლავ უჩინარის ნაცვლად იპოლიტ კვასი დავიჭირეთო. ტყუილსა და ხალტურას ვერ ვიტან. პირადად მე ყოველთვის პატიოსნად ვმუშაობ. შენ, კაფანდარავ, ხომ კარგად იცი ჩემი პატიოსნების ამბავი.

— სრულიად მართალი ბრძანდებით, კუტკალიავ ჩემო, — თქვა კაფანდარამ, — მოხდა ფრიად სამწუხარო შეცდომა.

— აი, სწორედ ამ შეცდომისათვის ვთხლიშე კბილებში! — დაიგრუხუნა ბოცმანმა. — რა სისულელეა: მაძებარი მოათრიეს აქ და მე, ბოცმანმა, უნდა ვაჭამო პური, უნდა მივუტანო ბარდის წვენი...

— ღმერთია მოწამე, მე დამნაშავე არა ვარ. შეფმა მიბრძანა, — რიგ-რიგობით უნდა ვაჭამოთ პური იმ მაძებარს.

— ნეტავი, როდემდე უნდა ჰყავდეთ გამომწყვდეული ეს მუქთამჭამელი?

— უთუოდ უნდა ელაპარაკო კვასს. შეფმა გამოგიძახა, რომ გამოლაპარაკებოდი. არც ერთ ჩვენგანს არ შეუძლია მასთან რაიმე გააწყოს.

— რაზე უნდა ველაპარაკო? რა ახალი მეთოდი შემოიღეს? — თქვა ბოცმანმა.

— ამაში კი მართალი ხარ. კვას! თავაზიანად უნდა მოეპყრან. შეფმა იცის თავისი საქმე. იპოლიტ კვასი — გავლენიანი პირია, ყველგან აქვს კავშირი. გარდა ამისა, და უპირველეს ყოვლისა, კუტკალიავ ჩემო, კვასს დიდი, ასე ვთქვათ, ენციკლოპედიური ცოდნა აქვს. ჩვენმა შეფმა რომ კვასისოდენი იცოდეს, დიდი ხანია მილიონები ვიქნებოდით.

— გასაგებია, — დათანხმდა ბოცმანი. — მაგრამ... რატომ მაგზავნით მასთან ბარდის წვენით სავსე ქოთნით?

— ეს პოლიტიკური ხერხია, კუტკალიავ ჩემო. მხეცი რომ დაიმორჩილოს — მწვრთნელს ერთ ხელში მათრახი უჭირავს, მეორეში საჭმელი და ისე მიდის მასთან. ამიტომ გადავწყვიტეთ: იპოლიტ კვასს ბარდის წვენით სავსე ქოთნით მივუდგეთ...

— რატომ ბარდის წვენით?

— ბარდის წვენი იპოლიტ კვასის საყვარელი საჭმელია. ამას გარდა, — ხმა დაიდაბლა კაფანდარამ. — ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

წვენი შეზავებულია ვერაკოკოს აბებით. გაგიგონია ვერაკოკოს აბები?

— არა.

— ეს უახლესი საშუალება რეკომენდებულია ნერვიულ და ფსიქიურ დაავადებათა წინააღმდეგ, განსაკუთრებით მაშინ, თუ ავადმყოფი აპათიურადაა განწყობილი. ეს წამალი ჯერ კარგ განწყობილებაზე აყენებს ავადმყოფს, ლაპარაკის ხასიათზე დგება, უნდა გული გადაუშალოს ვინმეს. მერე ავადმყოფი თავს ვერ იკავებს, ლაპარაკობს და ლაპარაკობს... ყველაფერს რომ იტყვის, ორი საათის შემდეგ მაგრად ჩაეძინება.

— მაგრამ, საშიში როა? — ფერი წაუვიდა ბოცმანს, — ვინ მოგცა აბები?

— შეფმა ჩამოიტანა ამერიკიდან. უკანასკნელად რომ იყო შეერთებულ შტატებში, ნიუ-იორკში ორმოცდამეხუთე ავენიუზე მდებარე სააფთიაქო საწყობიდან მოიპარა.

— ეს ხომ ჯოჯოხეთივით საშიშია, — გაიმეორა შეშინებულმა ბოცმანმა. — შეფმა რომ მოისურვოს და ვერაკოკო ჩაგვიყაროს წვენში ან შენ ან მე — მაშინ?...

— ვერაკოკო, ვერაკოკო, კუტკალიავ ჩემო...

— ო... ღმერთმა ნუ ქნას და, ეს აბები მილიციას, პროკურორებს, მოსამართლეებს ან, საერთოდ, ასე ვთქვათ, მთავრობას რომ ჩაუვარდეს ხელში?

— არ ჩაუვარდება.

— ვინ არის ამის თავდები? — ამოიოხრა ბოცმანმა.

— შეფმა ყველაფერი წინასწარ განჭვრიტა. „ჩავარდნის“ შემთხვევაში ვერაკოკოს აბები ქრება.

— როგორ?

— შეფს ჯიბეში მშიერი თაგვი უზის. ეს თაგვი გაწვრთნილია. სახიფათო შემთხვევაში შეფი აბებს ერთი ჯიბიდან მეორეში გადმოიტანს, თაგვი მაშინვე ეცემა და შეჭამს.

— მაგრამ რატომ ყრით ვერაკოკოს ბარდის წვენში?

— ვერაკოკოს ძლიერი, სპეციფიური სუნი აქვს, მხოლოდ ბარდის წვენს შეუძლია მისი შთანთქმა.

— გასაგებია, მაგრამ ასეთი ძლიერი და დიდებული აბები თუ გქონდათ, რატომ აქამდე არ აჭამეთ იპოლიტ კვასს?

— საქმე იმაშია, კალიავ ჩემო,—ამოიოხრა კაფანდარამ, — საქმე იმაშია, რომ ჩვენ მრავალგზის შევეცადეთ, მაგრამ იპოლიტ კვასი მკაცრ დიეტას იცავს და გადაჭრით უარს ამბობს ბარდის წვენზე.

— ალბათ, რაიმე იყნოსა!

— შეიძლება; რამდენჯერაც არ მიაწოდეს — იმდენჯერ გადაასხა დარაჯს, ქოთანი კი თავზე ჩამოაცვა.

— თქვენ გინდათ, რომ ახლა მე ჩამომაცვას?

— ყველას ჩამოგვაცვა, კუტკალიავ ჩემო, ახლა შენი რიგია, — ჩაიცინა კაფანდარამ. ამ დროს მისი მოკაუჭებული ცხვირი კვლავ შეეხო ნიკაპს. — კმარა, დროა წავიდეთ, თორემ წვენი გაცივდება და იპოლიტ კვასი არ მიეკარება. იგი ძალიან ჭირვეულია და მომთხოვნი!

ბოცმანმა რაღაც წაიბურტყუნა, ამოიოხრა და მკლავები მხრებამდე დაიკაპიწა, დაიწყო მოსინჯვა კუნთებისა, რომლებიც ბურთივით უხტოდა კანქვეშ.

კაფანდარა პატივისცემით შეჰყურებდა ძალის ამ დემონსტრაციას.

— აქ მოდი, კაფანდარავ, — დაიროხროხა ბოცმანმა და ხელი ხელში მოჰკიდა, — აბა, აქ, ჩემს წინ გაჩერდი.

— რასა ბრძანებთ, კუტკალიავ ჩემო? — შეეშინდა კაფანდარას.

— პატარა „რეპეტიცია“ მინდა ჩავატარო, — შეეძლებ თუ არა, იპოლიტ კვასს ხახაში ჩავასხა ეს სითხე.

ერთი დარტყმით დააგდო კაფანდარა მიწაზე, ზედ გადააჯდა, ერთი ხელი უბებში მოუჭირა, მეორე ხელი ბარდის წვენით სავსე ქოთნისაკენ გაიშვირა.

ხელის მოხერხებულად მოჭერის შემდეგ კაფანდარამ თევზივით გააღო პირი. ბოცმანმა გადმოწია ქოთანი, მაგრამ კაფანდარას გრძელმა, მოკაუჭებულმა ცხვირმა შეუშალა და წვენი ვერ ჩაასხა.

ბოცმანი აროხროხდა და ხელი გაუშვა კაფანდარას, რომელიც წრიპინ-წრიპინით წამოიჭრა ფეხზე.

— ამხელა ცხვირი რომ არა, რას შეხვრიპავდი ამ წვენს...

— თავი დამანებე, თავი დამანებე, კუტკალიავ ჩემო, — ძლივს გაუსხლტა კაფანდარა ბოცმანს, — განა ასე ეპყრობიან კოლეგას!

— არაფერია, არაფერია, ჩემო ქრიზოსტომ, — ხელი დაჰკრა გაძვალტყავებულ ბეჭებზე ბოცმანმა. — გეხუმრე.

— კარგი ხუმრობაა... კარგი ხუმრობაა, კუტკალიავ ჩემო, კინაღამ დამახრჩე.

— სამაგიეროდ, იცი, როგორი ხერხით ვაჭმევ იპოლიტ კვასს? — აროხროხდა ბოცმანი. — აიღე ქოთანი. მივდივარ...

იგი მძიმედ ადგა, დაკაპიწებული სახელოები ჩამოიშალა, ტყავის ქურთუკი ჩაიცვა, შავი ხელთათმანები ბენზინით გაიწმინდა და მესამე დერეფანში გაუჩინარდა. მას ფეხდაფეხ, არეული ნაბიჯით მიჰყვა კაფანდარა, ცალ ხელში ქოთანი ეჭირა, მეორე ხელით კი ნაწვალებ ყელს ისრესდა.

ისინი წავიდნენ, — უკან მისდევდათ ბენზინისა და ბარდის წვენის სუნი.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩემს ოჯახს

გაგუ მებურიშვილი

სადაც ზეცამდე ასული
მთებია მთებზე შედგმული,
იქ არის ჩემი მამული,
იქ არის ჩემი დედული.

იქ, შაშვის მოკვლის სურვილით,
თოფით ხევი-ხევ მივლია,
იქ ხანისწყალის შხუილი
ნანინასავით ტკბილია.

ტყეები—სავსე ნადირით,
ჩქერები—სავსე კალმახით, —
ვერ დაივიწყებ ადვილად,
თუ ერთხელა გაქვს ნანახი.
იქ დიდზე დიდი ზვრებია
და ვაშლებია წითელი,
იქ ჩემი კარგი ბებია
ამ შემოდგომას მიმელის.
სადაც ზეცამდე ასული
მთებია მთებზე შედგმული.
იქ არის ჩემი მამული,
იქ არის ჩემი დედული.

უველაზე ხნიერი ოჯახი

ბრეტანიაში (საფრანგეთი) ყოველწლიურად ეწყობა კონკურსი, რომლის მიზანია ყველაზე ხნიერი ოჯახის გამოვლენა. შარშან პირველ ადგილზე გამოვიდა ქილვინების ოჯახი. ამ ოჯახის წევრთა წლოვანების ჯამი 423 წელს უდრიდა: და მარიანე 97 წლისა იყო, ხოლო მისი ძმები — 86, 82, 80, 78 წლისანი. ქილვინების ოჯახმა უკან ჩამოიტოვა წინა წლის „ჩემპიონი“, რომელმაც „მხოლოდ“ 400 წელი მოაგროვა.

წიგნი გაირეცხება

ზოგჯერ ესა თუ ის წიგნი დიდი ხნის ხმარებისაგან ისე ჭუჭყიანდება, რომ გასარეცხი ხდება. მაგრამ ჩვეულებრივი ქაღალდის წიგნის გარეცხვა, ცხადია, არ შეიძლება.

და აი, მოსკოვის სტამბა შეუდგა ისეთი წიგნების გამოშვებას, რომელთა თითოეული გვერდი შეგიძლია გარეცხო და გააკრიალო. ასეთ წიგნებს ქიმიური მასალებისაგან ამზადებენ.

კანონი კანონია

აშშ-ის ზოგიერთ შტატსა და ქალაქში არსებობს ძველთაძველი კანონები, რომლებიც ამა თუ იმ შემთხვევის გამო შემოუღიათ. მართალია, ამ კანონებს დღეს არავითარი აზრი არა აქვთ, მაგრამ მათ გაუქმებაზე ჯერ არავის არ უფიქრია.

ასე მაგალითად, ოკლახომას შტატში აკრძალულია ქალაქების პარკებში ნადირობა.

ილინოისის შტატში კლიენტებს აკრძალული აქვთ საპარიკმახეროში ძილი.

ილინოისის ერთ-ერთ ქალაქში აკრძალულია ქუჩაში სიმღერა და ღიღინი.

ფილადელფიაში აკრძალულია ფანჯრიდან ქალის კაბების გადაყრა.

ტეხასისა და სამხრეთ დაკოტის შტატებში აკრძალულია ყველის საწყობებში ძილი.

ფლორიდის შტატში აკრძალულია ღამე ხვრინვა, ხოლო ქალაქ ბოსტონში — კვირადღეობით ბანაობა.

ლოს-ანჟელოსის მკვიდრთ აკრძალული აქვთ ბინაში ბეჰემოთის ყოლა.

კოლუმბუსში აკრძალულია კვირადღეობით ბატიბუტის ყიდვა-გაყიდვა.

ქალაქ გოლდსბოროში აკრძალულია დაკერებული ტანსაცმლის გაყიდვა.

ყორანი „ყიყლიყოს“ იძახის

უნგრეთის ქალაქ პეჩის ზოოპარკში ჰყავთ ერთი ყორანი, რომელიც ჩინებულად „ლაპარაკობს“ სხვადასხვა ფრინველის კილოზე: ჰყივის მამალივით, კრიახობს კრუხივით, გაჰკივის, როგორც ფარშევანგი და ყარყატი. „მოლაპარაკე“ ყორანს ხშირად შეჰყავს შეცდომაში ზოოპარკის დამთვალიერებლები და მომვლელები.

კატის თვალები — საათის მაგივრად

კატის თვალების საშუალებით შეგვიძლია გავიგოთ რა დროა. შუადღისას კატას თვალის გუგები ისე უვიწროვდება, გეგონება, პაწაწინა წერტილებიაო; ერთი საათის შემდეგ კი ცოტათი უფართოვდება. დღე-ღამის ამა თუ იმ დროს კატის თვალების გუგები შესაბამისი სიდიდისაა; რაც უფრო მეტია სინათლე, მით უფრო ვიწროა გუგები.

გრიგოლ აბაშიძე —
„მეც შევარდენი ვიქნები“

ბავშვების სწავლასა და შრომაზე, მეგობრობაზე და მომავლის ოცნებებზეა ლექსები და პოემები კრებულში „მეც შევარდენი ვიქნები“.

წიგნს დართული აქვს ჯ. ჭანტურაიას წერილი.

რედაქტორია ნ. არჯევანიძე, მხატვარი — ზ. დავითაია.

ლევ ბერგი —
„პრუევალსკის მოგზაურობა“

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრამდე აზიის უდიდესი სივრცეები ჯერ კიდევ უცნობი იყო მეცნიერებისათვის. ეს მხარე ნიკოლოზ მიხეილის ძე პრუევალსკიმ გამოარკვია, მან რუკას მრავალი თეთრი ლაქა მოაშორა. ამ გამოჩენილ მკვლევარსა და მოგზაურზე მოგვითხრობს წიგნი „პრუევალსკის მოგზაურობა“.

ნიკო კეცხოველი —
„ფურცელშლა და ფურცელცვენა“

ბუნება წლის დროთა მიხედვით სხვადასხვანაირად იცვლება. ბუნების ამ სხვადასხვაობაზეა დაწერილი „ფურცელშლა და ფურცელცვენა“. ეს წიგნი გაზაფხულის პირველი თვით იწყება და ზამთრის უკანასკნელი თვით მთავრდება. ბევრ საინტერესო რამეს გაიგებთ ამ წიგნიდან.

წიგნი დასურათებულია გ. თოთიბაძის მიერ.

რედაქტორია რ. ინანიშვილი.

გაბრიელ ჯაბუშანური
„სიმღერა გაგა ნარიოზაულზე“

ბარისახოს სკოლა-ინტერნატში ბევრი ბავშვი აღიზარდა. იქ აღზრდილთაგან ზოგი უკვე სახელგანთქმული მოღვაწეა. სწორედ მათ შესახებ არის მოთხრობილი პოემაში „სიმღერა გაგა ნარიოზაულზე“.

წიგნის მხატვრობა ეკუთვნის გ. ოჩიაურს.

რედაქტორებია: შ. ნიშნიანიძე და ჯ. ნიქაბაძე,









ზოგი ხე ისეთია, ზედ კიბითაც ვერ ახვალ. ხილის ჩამოყრა კი არ შეიძლება —ნაყოფი დაზიანდება. როგორ მოვიქცეთ?

აი, გააკეთე ასეთი მოწყობილობა და ნახავ, რარიგ გაგიადვილდება ხილის მოკრეფა.

ორ-სამ მეტრიან ჭოკზე ჩამოაცვი კონსერვის უფსკერო კოლოფი. კოლოფის ქვედა თავი რეზინის ან სქელი მატერიის მილს შეუერთე. მილის ბოლო ტომარაში ან გოდორში ჩაუშვი.

კონსერვის კოლოფი 5-10 სმ. დიამეტრისა უნდა იყოს. კოლოფს უნდა გაუკეთდეს 3-4 ჩანაჭერი, ეს ჩანაჭერები დანასავით გაჭრიან ყუნწს. თუნუქის პატარა სალტეთი მილი ჯოხს მიამაგრე.

კოლოფს შიდა მხრიდან მატერია ან რეზინი გამოაკარი.

ეს იოლი ხელსაწყო ყველა თქვენგანს შეუძლია გააკეთოს.

გარეკანის პირველ გვერდზე — „შემოდგომა“, ნახატი ზურაბ ფორჩხიძისა.

რედაქტორი ბაბულია შელია

სარედაქციო კოლეგია: ფილიპე ბერიძე, რუსტამ ელანიძე, იაგო ვარდოსანიძე, რევაზ ინანიშვილი, ჯუანშერ კვარაცხელია, სერგო კლდიაშვილი, ზურაბ ლეშკაშელი (პ/მგ. მდივანი), **მარიჯანი, გაიოზ ფოცხიშვილი** (სამხატვრო რედ.), **გიორგი შატბერაშვილი.**

ჩვენი მისამართი: თბილისი, პლეხანოვის 91 ტელეფონები: რედაქტორის—5-17-76 სატერთო—5-07-43

„ПИОНЕРИ“. На грузинском языке. Адрес редакции: Тбилиси, пр. Плеханова, 91.
გამომცემლობა «ნაკადული». უე 12012 ტირ. 89.000. პირ. ფორ. რაოდ. $4^1/_2$, ფიზ. ფორ. რაოდ. 2.
ხელმოწერ. დასაბ. 28/IX-64 წ. სტამბის შეკვ. 2176. გამომც. შეკვ. 462. საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა № 1

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ფასი 20 კაპიკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

? თამაშობანი

გავშვებო, გთავაზობთ ორ თამაშობას, რომელიც ძალიან უყვართ თქვენს ამერიკელ და ინგლისელ თანატოლებს.

ქუჩები და ხეივნები

ამ თამაშში რაც უფრო მეტი ბავშვი მონაწილეობს, მით უფრო საინტერესოა. შეგიძლიათ ათამაშოთ 16-დან 50 ბავშვი. მოთამაშეები ეწყობიან მწკრივებად ისე, როგორც ეს №1 სურათზეა ნაჩვენები, არანაკლებ 4-ისა თითო მწკრივში. თითოეული მწკრივი მეორისგან დაშორებული უნდა იყოს ერთი მეტრით.

მოთამაშეებს გამოეყოფა ორი ბავშვი, რომელთაგან ერთი გარბის ამ ქუჩებითა და ხეივნებით, მეორე კი მას მისდევს დასაჭერად.

მოთამაშეები ჩაკიდებენ ხელებს და აკეთებენ ქუჩას. თამაში მიყავს პირველი მწკრივის თავში მდგომ ბავშვს. როდესაც ის დაიძახებს „ხეივანი!" ბავშვები უშვებენ ერთმანეთს ხელს, თითოეული აკეთებს 90° ბრუნს მარჯვნივ და ხელს ჩაკიდებს მის მარჯვნივ და მარცხნივ მდგომ მოთამაშეებს. როდესაც თამაშის წამყვანი დაიძახებს „ქუჩა!", ყოველი მოთამაშე ისევ აკეთებს 90° ბრუნს მარჯვნივ და ისევ ჩაკიდებს ხელს მის გვერდით მდგომებს, და ასე შემდეგ.

ამასობაში ის ორი ბიჭუნა დარბის მწკრივებს შორის; როცა „ქუჩა" „ხეივნით" იცვლება, ისინი იძულებულნი არიან საწინააღმდეგო მიმართულებით გაიქცნენ. მოთამაშეების სურვილის მიხედვით ზოგი ქუჩა ჩიხად იქცევა, ზოგი კი უცებ იხსნება და შველის გაქცეულს, რომ მდევარს თავი დააღწიოს. ამ ორს უფლება არა აქვს მწკრივი ძალით გაწყვიტოს. თამაში რომ ცოცხალი და ხალისიანი გამოვიდეს, საჭიროა თამაშის წამყვანმა ხშირ-ხშირად შეცვალოს „ქუჩა" „ხეივნით". ეს მდევარს გაქცეულის დაჭერას გაუძნელებს. როცა, ბოლოს და ბოლოს, გაქცეულს მდევარი დაიჭერს, ეს ორი მწკრივში დგება და ახალი წყვილი გამოდის. თამაში კვლავ გრძელდება.

ვინ დაიჭერს თევზს?



ამ თამაშისათვის წინდაწინ უნდა მოემზადოთ, მაგრამ ნუ დაიზარებთ,—თამაში იმდენად თავშესაქცევია, რომ უთუოდ დიდად ნასიამოვნები დარჩებით.

თამაშში შეუძლია მონაწილეობა 2-დან 10 ბავშვს. თითოეული მოთამაშისათვის მოამზადეთ 3 მეტრი სიგრძის ბაწარი. ბაწრის ერთი ბოლო გამოაბით სკამის ზურგს ან ხეს (თუ ეზოში თამაშობთ) დაახლოებით თქვენი მხრების სიმაღლეზე, ეს იმისათვის, რომ თამაშის დროს მოხრა არ დაგჭირდეთ.

დაგჭირდებათ აგრეთვე სქელი ქაღალდი ან მუყაო, რომლისგანაც უნდა გამოჭრათ თევზი (15 სანტიმეტრის სიგრძის) თითოეული მოთამაშისათვის ცალ-ცალკე. ამ თევზებს მაკრატლის წვერით თავთან გაუკეთეთ ნახვრეტი, რაც შეიძლება, ვიწრო. შემდეგ ბაწრის თავისუფალი ბოლო გაუყარეთ ამ ხვრელში და თევზი ბაწრის დაბმულ ბოლოში მიიტანეთ. შემდეგ თითოეულ მოთამაშეს მიეცით თითო თევზიანი ბაწარი. (ნახ. 2).

როცა თამაშის დაწყების ნიშანს მისცემთ, თითოეული მოთამაშე იწყებს თავისი ბაწრის თავისუფალი ბოლოს ქაჩვას და ცდილობს თევზი ამოძრაოს თავისკენ, რომ რაც შეიძლება ჩქარა შესძლოს მისი ნაპირზე ამოგდება, „დაჭერა".

იმარჯვებს ის მოთამაშე, რომელიც, ნაბიჯის წინ გადაუდგმელად, თევზს პირველი მოიგდებს ხელში.

იცოდეთ, საკმაოდ ბევრჯერ მოგიწევთ თამაში. ვიდრე გაიწაფებოდეთ.

ნუკრეთი ბუმბერაზი

ილია დოლიაშვილისა







— საით?!
– ზოოპარკში. სპილო უნდა დავხატო

კინოთეატრში ღილის სეანსზე







პენსიონერი მასწავლებელი

— მამიკო, ცოტაც კიდე

მამა: მე თუ მიყურებ, ჩემს სამსახურში იცვამ, რომ ავადა

— რატომ სცემე ჯიჯელას,— ის ხომ